ახალგაზრდობის
სააგენტო

ოზურგეთი

ახალგაზრდების
საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესების და რესურსების
კვლევა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი

2020

სსიპ ,,ახალგაზრდობის სააგენტო“ სამწლიანი რეფორმის ფარგლებში, ახორციელებს - „მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამას, რომელიც 11 მუნიციპალიტეტში მხარს უჭერს მუნიციპალური ახალგაზრდული მუშაკების გადამზადებას და მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმების შექმნას. პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტშიც ჩატარდა ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა.

სარჩევი

კვლევის ძირითადი მიგნებები 2

შესავალი 8

მეთოდოლოგია 10

თვისებრივი კვლევის შედეგები 13

ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევები 13

ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული პროგრამები/აქტივობები და ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები 17

ახალაგაზრდების ჩართულობა 20

მუნიციპალიტეტისა და არასამთავრობო სექტორის სამომავლო გეგმები 21

დასკვნა 21

რაოდენობრივი კვლევის შედეგები 26

ახალგაზრდების დემოგრაფიული მახასიათებლები 26

სამოქალაქო აქტიურობა და პოლიტიკური პროცესებით დაინტერესება 26

მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პროგრამები და სერვისები 28

საგანმანათლებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან წვდომა 30

დასაქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები 31

გართობისა და დასვენების შესაძლებლობები 34

მოხალისეობა 36

სპორტული აქტივობები 38

მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება 39

ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობა 40

მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები 40

დასკვნა 41

დანართი 46

კვლევის ძირითადი მიგნებები

სამოქალაქო აქტიურობა და პოლიტიკური პროცესებით დაინტერესება

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების თითქმის მესამედი (34%) ამბობს, რომ სამოქალაქო აქტიურობის თვალსაზრისით აქტიური ან ძალიან აქტიურია, მეტ-ნაკლებად აქტიურად ახასიათებს თავს გამოკითხული ახალგაზრდების 48%, ხოლო 18% მიიჩნევს, რომ არ არის აქტიური.
- მათგან, ვინც აცხადებს რომ არის აქტიური ან მეტ-ნაკლებად აქტიური სამოქალაქო ჩართულობის მიმართულებით, 35% ამბობს, რომ მიიღო მონაწილეობა სოციალური ქსელში გამართულ აქტივობებსა და ფორუმებში, 19% ამბობს, რომ მოისმინა მერის მომზადებული ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, 18% ამბობს, რომ გამოხატა აზრი მედიის (ტელევიზია, რადიო, ჟურნალ-გაზეთი) საშუალებით ან მიიღო მონაწილეობა დასახლების საერთო კრებაში, 17% აცხადებს, რომ ხელი მოაწერა პეტიციას, 12%-მა კი მონაწილეობა მიიღო საპროტესტო დემონსტრაციაში/ღონისძიებაში.
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (52%) ამბობს, რომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით არ არის ან საერთოდ არ არის დაინტერესებული.
- გამოკითხული ახალგაზრდების 42% ფიქრობს, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებული არ არის. 28%-მა არ იცის, რამდენად არის გათვალიწინებული ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში, ხოლო გამოკითხულთა დაახლოებით მესამედი (31%) ფიქრობს, რომ მათი ინტერესები გათვალიწინებულია.
- ყველაზე ხშირად გამოკითხული ახალგაზრდები ნდობას საქართველოს მართმადიდებლურ ეკლესიას (36%), საქართველოს ჯარს (26%), საქართველოს მთავრობასა (22%) და პოლიციას (22%) უცხადებენ. სხვა ინსტიტუტების მიმართ ნდობა კიდევ უფრო იშვიათად დასახელდა.
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული არ არის. რამდენიმე მონაწილემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი დახმარებიათ გარკვეული ღონისძიების განხორციელებაში სივრცის დათმობითა და ტექნიკის გამოყოფით. რესპოდენტების ნაწილი ამბობს, რომ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მონაწილეობას დიდი სიამოვნებით მიიღებდა, ნაწილი კი იდეის ჩამოყალიბებასა და უშუალოდ განხორციელების პროცესში ჩაერთვებოდა.
- იმავე აზრს ავითარებს თვისებრივ კვლევაში მონაწილე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელიც და ამბობს, რომ ახალგაზრდები არ არიან ჩართულები მუნიციპალიტეტის საქმიანობაში.

მუნიციპალიტეტში არსებული ახალგაზრდული პროგრამები და სერვისები

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ძირითადად სოციალური ქსელების საშუალებით იღებენ (69%), ინფორმაციის მიღების წყაროდ დასახელდა ასევე ტელევიზია (43%), ახლობლები/მეგობრები/ნათესავები (30%) და ადგილობრივი ხელისუფლება (15%). ასევე, რესპონდენტთა 3% აცხადებს, რომ საერთოდ ვერ იღებს ინფორმაციას.
- რესპონდენტების უმრავლესობა (71%) აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა არ მიუღია. მათგან 40%-ს წარმოადგენს 14-17 წლის ახალგაზრდები, 35%-ს შეადგენს 18-25 წლის ახალგაზრდები, ხოლო მეოთხედს (25%) - 26-29 წლის ახალგაზრდები.
- გამოკითხული ახალგაზრდების 33% ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე არ ჰქონდა ინფორმაცია, ხოლო 21%-ის განცხადებით, არავის მიუწვევია მსგავს აქტივობაში ჩასართავად, 18%-ის თქმით, არ იყო მისთვის საინტერესო ღონისძიება, ასევე 18% ამბობს, რომ არ ჰქონდა დრო.
- იმ შემთხვევაში, როცა ახალგაზრდები ჩაერთვნენ ბოლო 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში (30%), 41%-ის განცხადებით, მიაწოდეს ინფორმაცია, 33% აცხადებს, რომ ჰკითხეს აზრი, 21% ამბობს, რომ აქტიურად იყო ჩართული, 8%-ის განცხადებით კი, მათმა ჩართულობამ გავლენა მოახდინა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, 18% ამბობს, რომ მხოლოდ ფორმალურად იყო ჩართული.
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მეტს (54%) ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში. ნახევარზე ნაკლებს (46%) კი არ მიუღია მსგავს პროგრამებში მონაწილეობა, უფრო კონკრეტულად კი - 28%-ს არ მიუღია მონაწილეობა, თუმცა სმენია პროგრამის შესახებ, ხოლო 18%-ს არ მიუღია მონაწილეობა და არც სმენია მსგავსი პროგრამის შესახებ.
- ახალგაზრდული პროგრამების შესახებ საუბრისას, კვლევაში მონაწილე 14-25 წლის ახალგაზრდები აღნიშნავენ ინტელექტუალურ, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს. რესპონდენტთა ნაწილის განცხადებით, ისინი თავადაც ჩართული იყვნენ აღნიშნულ აქტივობებში. რაც შეეხება 26-29 წლის რესპონდენტებს, მათ დიდ ნაწილს არ აქვს ინფორმაცია ახალგაზრდული პროექტების შესახებ.
- ახალგაზრდულ პროგრამებზე საუბრისას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტს გარკვეული ახალგაზრდული პროგრამები აქვს, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდებს შეუძლიათ დაკავდნენ სპორტული აქტივობით, ასევე ბავშვებისთვის ეწყობა კულტურულ-შემეცნებითი ტურები. ასევე, მისი განცხადებით, მუნიციპალიტეტში არსებობს პროექტი „იყავი თანამმართველი“, რომლის ფარგლებშიც 10 პროექტი დაფინანსდა. მისი განცხადებით, აქტივობებში ძირითადად, სკოლის ასაკის ახალგაზრდები არიან ჩართული. სკოლის ასაკის შემდგომ ახალგაზრდების ჩართულობის მაჩვენებელი კი ძალიან დაბალია, რაც ძირითადად, გამოწვეულია მიგრაციით.

- მერიის წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადად, მუნიციპალიტეტში არ ხდება ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლა და/ან ინფორმაციის სისტემური შეგროვება, რასაც პროგრამების დაგეგმვის ეტაპებზე გამოიყენებდნენ.
- რაც შეეხება არსამთავრობო სექტორის მიერ შეთავაზებული აქტივობების შეფასებას თავად არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგნელების მხრიდან, რესპონდენტების მიხედვით, ისინი ახალგაზრდებს ძირითადად კულტურულ-საგანმანთლებლო აქტივობებს სთავაზობენ. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელის აზრით, წარმატებული პროექტია „მონაწილეობრივი ბიუჯეტი", რომელიც ოზურგეთში დაინერგა და რომლის ფარგლებშიც მოსახლეობა ხმის მიცემით უჭერს მხარს ამა თუ იმ პროექტს. მისი განცხადებით, გურიაში მოსახლეობის ჩართულობის მაჩვენებელი 35%-ზე მაღალი იყო. გარდა ამისა, იგეგმება პროექტი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებისთვის გამოიყოფა გრანტები, რომ ის სფერო, რასაც უნივერსიტეტში ეუფლებიან, რეგიონში განავითარონ.

ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევები

- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები გამოწვევებზე საუბრისას აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტში არ არის ან მცირე რაოდენობითაა კულტურული წრეები, კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისთვის საჭირო სივრცეები, ახალგაზრდების თავშეყრის ადგილები, მაგალითად, კინო, სკვერები. ფოკუს ჯგუფის მონაწილეების აზრით, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო აქტივობებისთვის სივრცეების შექმნა, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარებას. ასევე, პრობლემურად მიიჩნიეს ახალგაზრდების ინფორმირებულობის დონე სხვადასხვა აქტივობის შესახებ, ზოგადი ინტერესის და მოტივაციის არარსებობა, როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე ახალგაზრდების მხრიდან. რამდენიმე ახალგაზრდამ მუნიციპალიტეტში ტრანსპორტის პრობლემაზეც გამახვილა ყურადღება.
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის თქმით, ახალგაზრდების ძირითადი პრობლემა ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობა, ახალგაზრდობის ჩართულობა სხვადასხვა აქტივობაში და მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხებია. რესპონდენტის განცხადებით, ახალგაზრდების პრობლემები არ განსხვავდება სქესის და ასაკის მიხედვით.
- არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ახალგაზრდების წინაშე მდგარ გამოწვევად ასევე მიგრაციის საკითხს მიიჩნევენ. მათი თქმით, მიგრაცია პირდაპირ არის დაკავშირებულია მუნიციპალიტეტში დასაქმების პრობლემასთან. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტში არ არსებობს გასართობი სივრცეები. ასევე, პრობლემას წარმოადგენს ტრანსპორტირების საკითხი.

საგანმანათლებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან წვდომა

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (60%) მიღებული განათლების ხარისხით კმაყოფილია.
- გამოკითხული ახალგაზრდების 43% აცხადებს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში რაიმე ტრენინგ კურსში მონაწილეობა მიუღიათ.

- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (65%) ამბობს, რომ მომავალი 12-24 თვის მანძილზე სწავლის გაგრძელებას გეგმავს.
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ წვდომა კომპიუტერთან (79%) და ინტერნეტთან (90%) ყოველდღიურად აქვს.
- მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები ყველაზე ხშირად საინფორმაციო ტექნოლოგიებს სხვადასხვა სახის ინფორმაციის გასაცნობად (63%), სასწავლო მიზნით (56%), ასევე ხშირად გასართობად (53%) და ახლობლებთან საკონტაქტოდ (53%) იყენებენ.
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები საუბრობენ განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემაზე. 14-17 წლის ასაკობრივი კატეგორიის ერთ-ერთი მონაწილე აცხადებს, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდას არ აქვს შესაბამისი განათლების ხარისხი. მონაწილეები საუბრობენ ასევე იმაზეც, რომ ოზურგეთში არსებობდა უნივერსიტეტის ფილიალი, რომელიც დაიხურა და ამჟამად რეგიონში საუნივერსიტეტო განათლება არ არის ხელმისაწვდომი.

დასაქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული სრულწლოვანი ახალგაზრდების მესამედზე მეტი (39%) ამბობს, რომ დასაქმებულია.
- დასაქმებული სრულწლოვანი ახალგაზრდების 42% კერძო ორგანიზაციაშია დასაქმებული, დაახლოებით მეოთხედი (27%) - სახელმწიფო სამსახურში, ახალგაზრდების 18% კი თვითდასაქმებულია.
- 18-დან 26 წლამდე ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი (30%) ამბობს, რომ დასაქმებულია, ნახევარზე მეტი (55%) ეძებს სამსახურს, ხოლო 15% არაა დასაქმებული და დასაქმებას არ ცდილობს.
- 26-დან 30 წლამდე ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (54%) ამბობს, რომ დასაქმებულია, 42% სამსახურს ეძებს, ხოლო 4% არ არის დასაქმებული, თუმცა სამსახურს არ ეძებს.
- დასაქმებული სრულწლოვანი ახალგაზრდების უმრავლესობა (60%) ამბობს, რომ კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია სამსახურით.
- გამოკითხული სრულწლოვანი ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან დასაქმებული (61%), უმუშევრობის ძირითად მიზეზებად დასაქმების მიმართ ინტერესის არარსებობას (29%), დასაქმების სერვისების არარსებობას (25%), ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის არ ქონას (16%) და პროფესიული უნარ-ჩვევების ნაკლებობას (11%) ასახელებენ, ხოლო 13%-ს კონკრეტული მიზეზი არ აქვს.
- 26-დან 30 წლამდე გამოკითხული ახალგაზრდები უმუშევრობის მიზეზად დასაქმების სერვისების არარსებობასა და ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის არქონას უფრო ხშირად ასახელებენ, ვიდრე 18-25 წლის ახალგაზრდები.
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ნაწილი, არასამთავრობო სექტორისა და მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები დასაქმებას ახალგაზრდების წინაშე მდგარ გამოწვევად მიიჩნევენ.

გართობისა და დასვენების შესაძლებლობები

- გამოკითხული ახალგაზრდების 41% ოზურგთის მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების შესაძლებლობებით უკმაყოფილოა.
- კვლევის თანახმად, გამოკითხული ახალგაზრდები ყველაზე ხშირად დროს მეგობრებთან ერთად ატარებენ (70%), უსმენენ მუსიკას (44%), კითხულობენ წიგნს (40%), უყურებენ ტელევიზორს (30%) და/ან კომპიუტერულ თამაშებს თამაშობენ (20%).
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად კინოთეატრის (52%) და ახალგაზრდობის კლუბების (42%) ფუნქციონირება სურთ. ასევე ხშირად დასახელდა ბანაკების (28%), სკვერების/ბაღების (26%) და ატრაქციონების პარკის (25%) არსებობის სურვილი.
- გამოკითხული ახალგაზრდების 41%-ის თქმით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ფიზიკური სივრცე არ არსებობს.
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტში არ არსებობს ისეთი დაწესებულება, სივრცე, სადაც ახალგაზრდები შეიკრიბებიან და თავისუფალ დროს ნაყოფიერად გაატარებენ. ძირითადი ნაწილი თავისუფალ დროს ინტერნეტში ინფორმაციის მოძიებას, ფილმების ყურებასა და მეგობრებთან ერთად ყოფნას უთმობს. ასევე, აღნიშნავენ, რომ რაიონში არ აქვთ კინოთეატრი.

მოხალისეობა

- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობის (70%) განცხადებით, გასული 12 თვის განმავლობაში მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია. ახალგაზრდების მეოთხედზე მეტი (28%) აცხადებს, რომ საქართველოში განხორციელებულ მოხალისეობრივ აქტივობებში მიუღია მონაწილეობა, ხოლო 1% ამბობს, მონაწილეობა საზღვარგარეთ მოხალისეობრივ აქტივობებში აქვს მონაწილეობა მიღებული, ასევე 1%-ის განცხადებით, მოხალისეობრივ საქმიანობაში მონაწილეობა საქართველოშიც და საზღვარგარეთაც მიუღია.
- გამოკითხული მდედრობითი სქესის ახალგაზრდები (31%) და მამრობითი სქესის ახალგაზრდები (29%) თითქმის თანაბრად არიან დაკავებული მოხალისეობრივი საქმიანობით.
- მათგან, ვინც ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მიუღია მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (30%), 40% უარს აცხადებს დააკონკრეტოს, თუ რომელ აქტივობაში იყო ჩართული. ახალგაზრდების 14% ამბობს, რომ ჩართული იყო საქველმოქმედო ღონისძიებებში, 13% აცხადებს, რომ ჩართული იყო გარემოს დასუფთავების/გარემოსდაცვითი პროექტების მოხალისეობრივ საქმიანობაში, ხოლო 13% - სხვადასხვა ტიპის ღონისძიების ჩატარებასა და მონაწილეობაში. ახალგაზრდების 5% აცხადებს, რომ მონაწილეობა მიიღო კოვიდ-19-ის პანდემიასთან დაკავშირებულ აქტივობებში.
- მოხალისეობის მოტივად გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობამ (74%) სხვების დახმარების სურვილი დაასახელა, 40%-მა - თავისუფალი დროის დახარჯვა სასარგებლო საქმეებისთვის, 40%-მა - ახალი ადამიანების გაცნობა, 37%-მა - სიახლეების სწავლა, ასევე 37%-მა - ცხოვრებისეული გამოცდილების მიღება, 29%-მა - გარემოს დაცვა.

- ის ახალგაზრდები, რომლებიც აცხადებენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (70%), ამის მიზეზად შემდეგ ფაქტორებს ასახელებენ - 20% აცხადებს, რომ არ აქვს ამისთვის დრო, 17% აცხადებს, რომ არ აქვს ინფორმაცია, როგორ ჩაერთოს მოხალისეობრივ საქმიანობაში, 9%-ს კონკრეტული მიზეზი არ აქვს, ხოლო 10% აცხადებს, რომ ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს. 5%-ის განცხადებით, მუნიციპალიტეტში მოხალისეობის შესაძლებლობა არ არის.

სპორტული აქტივობები

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების მეოთხედზე მეტი (29%) აცხადებს, რომ სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობით ყოველ დღე არის დაკავებული, 33%-ის განცხადებით კი საერთოდ არ არის მსგავსი აქტივობით დაკავებული.
- გამოკითხული ახალგაზრდების 59%-ს აქვს სურვილი ჩაერთოს სპორტის/ფიზიკური აქტივობის რომელიმე სახეობაში, რომლითაც ამჟამად არ არის დაკავებული, მათ შორის ყველაზე მეტჯერ კალათბურთი (14%) და ცურვა (7%) დაასახელეს.
- იმ ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც საერთოდ არ არიან დაკავებული სპორტული ან ფიზიკური აქტივობით, ამის მიზეზად არასაკმარის დროს (34%), სურვილის ნაკლებობას (25%), ფინანსების ნაკლებობას (12%) და საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობას (10%) ასახელებენ.

მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება

- გამოკითხული ახალგაზრდების 79% აცხადებს რომ არ ეწევა სიგარეტს, 79%-ის განცხადებით არ მოიხმარს ალკოჰოლს, 96% ამბობს, რომ არ მოიხმარს მარიხუანას, ხოლო 78% აცხადებს, რომ არასოდეს უთამაშია აზარტული თამაშები.
- გამოკითხულთა 14% აცხადებს, რომ კვირაში ერთხელ მოიხმარს ალკოჰოლს. მამრობითი სქესის წარმომადგენლების 24% აღნიშნავს, რომ მოიხმარს ალკოჰოლს კვირაში ერთხელ, ხოლო მდედრობითი სქესის წარმომადგენლების 5% აცხადებს იმავეს.
- რესპონდენტთა უმრავლესობა აცხადებს, რომ მეგობრების ნაწილი ან მათი ყველა მეგობარი ეწევა სიგარეტს (81%) და/ან მოიხმარს ალკოჰოლს (76%).

ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობა

- გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე ნაკლები (41%) აცხადებს, რომ აქვს სამედიცინო დაზღვევა.
- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (63%) აცხადებს, რომ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა პრობლემურია.
- ისინი, ვინც ამბობენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს, ამის მიზეზად 42% ასახელებს, რომ მსგავსი მომსახურება ძალიან ძვირია/არ აქვს საკმარისი თანხა, ხოლო 11% ამბობს, რომ არ ენდობა მათ, ასევე 11%-ის განცხადებით არ იცოდა ვისთვის მიემართა.

- გამოკითხული ახალგაზრდების 86% აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს ფსიქოლოგს/ფსიქოთერაპევტს დახმარებისთვის.
- ისინი, ვინც ამბობს, რომ ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა გასული 12 თვის განმავლობაში, ამის მიზეზად 34% ასახელებს, რომ მსგავსი მომსახურება ძალიან ძვირია/არ აქვს საკმარისი თანხა, ასევე 34% კი ამბობს, არ იცოდა ვისთვის მიემართა, 12%-ის განცხადებით, არ მიიჩნია საჭიროდ, ხოლო 10% ამბობს, რომ არ სურდა ამის შესახებ ვინმეს გაეგო.

მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები

- გამოკითხული ახალგაზრდების 45% აცხადებს, რომ არ სურს მუნიციპალიტეტიდან წასვლა, 28%-ის განცხადებით, სურს მუნიციპალიტეტიდან წასვლა, ხოლო 26%-ს უჭირს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა.
- ისინი, ვინც აცხადებენ, რომ სურთ მუნიციპალიტეტიდან წასვლა, ყველაზე ხშირად 14-17 წლის ახალგაზრდები არიან (34%).
- მუნიციპალიტეტიდან წასვლის ძირითადად მიზეზად ახალგაზრდები განათლების მიღებისა (20%) და დასაქმების (28%) უკეთეს შესაძლებლობას ასახელებენ. ასევე, 25% საკუთარი თავის რეალიზების უკეთეს შესაძლებლობას ასახელებს.
- ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ საუბრისას თვისებრივი კვლევის მონაწილეებმა - როგორც ახალგაზრდებმა, ისე საჯარო და არასაჯარო სექტორის წარმომადგენლებმა მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები დაასახელეს. მათი განცხადებით, ახალგაზრდების მიგრაცია დაკავშირებულია მუნიციპალიტეტში დასაქმების პრობლემასთან.

შესავალი

ახალგაზრდობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანური კაპიტალის განვითარებაში, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის სოციო-ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების საფუძველია. ახალგაზრდები ხშირად არიან ცვლილების, განვითარებისა და ინოვაციების ინიციატორები. საქართველოში ახალგაზრდების აქტივობისა და დასაქმების მაჩვენებლების ანალიზი აჩვენებს, რომ მათი შესაძლებლობები სრულად არ არის გამოყენებული. მაგალითად, ე.წ. NEET მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს უმუშევარ და არააქტიურ ახალგაზრდებს, 2018 წელს 15-24 წლის ასაკის ახალგაზრდებში 27% იყო. ეს მაჩვენებელი ასაკთან ერთად იზრდება და 15-29 წლის ასაკში თითქმის 30% -ს აღწევს (ETF, 2019). NEET მაჩვენებელი ქალებს შორის და ქალაქის ტიპის დასახლებებში უფრო მაღალია. NEET სოციალური ჩართულობის პრობლემასაც ასახავს. სხვა კვლევებიც ადასტურებს, რომ კვლავ მწვავედ დგას ახალგაზრდების განათლებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დემოგრაფიული ცვლილებების ფონზე მცირდება ახალგაზრდების წილი

მოსახლეობაში და უფრო მნიშვნელოვანი ხდება მათი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება.

მნიშვნელოვანია ახალგაზრდების პოლიტიკის უფრო ფართო კონტექსტში გააზრება როგორც ეროვნულ, ასევე, ადგილობრივ დონეზე და დაინტერესებული მხარეების, მთავრობის, სოციალური პარტნიორების, მუნიციპალიტეტების, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობა. ახალგაზრდული პოლიტიკის წარმატებით დაგეგმვისა და განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია თითოეულ მუნიციპალიტეტში კვლევაზე დაფუძნებული, რეალურ საჭიროებებზე ორიენტირებული სამოქმედო გეგმების შემუშავება. ადგილობრივი თვითმმართველობები ნაკლებად იკვლევენ და შესაბამისად, ნაკლებად არიან ინფორმირებულნი ახალგაზრდების რეალური საჭიროებების შესახებ (Friedrich Ebert Stiftung, 2016). კვლევები და არსებული მტკიცებულებები ნაკლებად გამოიყენება ახალგაზრდების საჭიროებების დასადგენად, ანდა ახალგაზრდული პოლიტიკის შესამუშავებლად, რაც საჭირო რესურსების ნაკლებობასაც (მეთოდოლოგიური, ადამიანური) უკავშირდება.

სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ახალგაზრდობის სააგენტოს ინიციატივით „მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის“ პროექტის ფარგლებში საქართველოს 11 მუნიციპალიტეტში ჩატარდა ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა. კვლევის შედეგებისა და უკვე არსებული მეორადი მონაცემების გათვალისწინებით შემუშავდება მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკა, ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები, განხორციელდება პროგრამები და ინიციატივები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

წინამდებარე კვლევის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების, ინტერესებისა და სხვადასხვა საკითხისადმი დამოკიდებულებების შესწავლა. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 14-29 წლის ასაკის 302 ახალგაზრდა. საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, „ახალგაზრდა“ განისაზღვრა, როგორც 14-29 წლის ასაკის პირი. წინამდებარე ანგარიშში, ტერმინები „ახალგაზრდა“ და „ახალგაზრდა პირი“ ერთი მნიშვნელობით გამოიყენება და აღნიშნავს 14-29 წლის ასაკის პირს. კვლევის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრა „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის“ (განკარგულება №533, 2014) საფუძველზე, რომელიც ზოგად ჩარჩოს ქმნის ახალგაზრდული პოლიტიკისთვის. კვლევის ფოკუსს წარმოადგენს:

- ახალგაზრდების წინაშე მდგარი პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება;
- ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლა;
- ახალგაზრდებისთვის არსებული შესაძლებლობების გამვლენა.

კვლევა შეეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა: დასაქმება, განათლება, მონაწილეობა, ცხოვრების სტილი, ჯანმრთელობა და სხვა მომიჯნავე საკითხები.

შესაძლოა კვლევა ჩაითვალოს უფრო ღრმა ანალიზისა და პოლიტიკური დისკუსიის საწყის ეტაპად. კვლევის დასრულების შემდეგ გადაიხედება და გადამუშავდება მეთოდოლოგია, რომლის გამოყენება სამომავლოდაც შესაძლებელი იქნება. განგრძობითი კვლევები მუნიციპალიტეტს შესაძლებლობას მისცემს გააანალიზონ ახალგაზრდების გამოწვევებისა

და პრობლემების განვითარების დინამიკა და მიღებული შედეგები პროგრამების დაგეგმვისას გამოიყენონ.

მეთოდოლოგია

ახალგაზრდობის კვლევაში გამოყენებულია: რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები.

<u>რაოდენობრივი კვლევის</u> მიზანი ახალგაზრდების საჭიროებების, ინტერესებისა და დამოკიდებულებების შესწავლა იყო. გამოყენებულია გამოკითხვის მეთოდი. არსებული სიტუაციის - კოვიდ-19-ის პანდემიის გათვალისწინებით გამოყენებულ იქნა ონლაინ გამოკითხვა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოიკითხა 302 რესპონდენტი.

<u>თვისებრივი კვლევის</u> ფარგლებში ფოკუს ჯგუფისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს ტექნიკებია გამოყენებული. ფოკუს ჯგუფების მიზანი ახალგაზრდების პერსპექტივის, მათ წინაშე მდგარი გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზების სიღრმისეული შესწავლა იყო. კვლევის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ჩატარდა 3 ფოკუს ჯგუფი სამ ასაკობრივ კატეგორიაში (14-17, 18-24, 25-29 წლის ახალგაზრდები), თითოეულ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა 6-დან 10-მდე ახალგაზრდამ მიიღო.

ჩაღრმავებული ინტერვიუები ძირითად ინფორმანტებთან ჩატარდა, რამაც კვლევის საკითხებთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების სიღრმისეულად შესწავლის საშუალება მოგვცა. კვლევის ფარგლებში 3 ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა.

<u>სამიზნე ჯგუფები</u>

კვლევის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ:

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 14-29 წლის ახალგაზრდები;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდულ პროგრამებზე მომუშავე საჯარო მოხელეები;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგნლები.

<u>კვლევის ინსტრუმენტები</u>

ონლაინ გამოკითხვა ჩატარდა წინასწარ შემუშავებული კითხვარების საშუალებით; ონლაინ გამოკითხვის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოკითხვის ხანგრძლივობა დაახლოებით 30-40 წუთი იყო.

სიღრმისეული ინტერვიუ და ჯგუფური დისკუსია წარიმართა წინასწარ მომზადებული გზამკვლევის მეშვეობით. კვლევის ინსტრუმენტები მომზადდა An EU-funded project under the Skills 4 Jobs -დახმარებით ახალგაზრდობის სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით. სიღრმისეული ინტერვიუს ხანგრძლივობამ საშუალოდ 30-40 წუთი, ფოკუსური დისკუსიის ხანგრძლივობამ კი, საშუალოდ, 1.5 საათი შეადგინა.

<u>რესპონდენტთა შერჩევა</u>

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებთან, რომელთა ასაკი 14-29 წელია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრების საერთო რაოდენობაა 8829. კვლევის საერთო შერჩევად განისაზღვრა 259 რესპონდენტი, თუმცა გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 302-მა ახალგაზრდამ.

კოვიდ-19-ის პანდემიის გამო შექმნილი მდგომაროებიდან გამომდინარე შერჩევის სახედ განისაზღვრა ხელმისაწვდომი შერჩევა, რომლის ფარგლებში გათვალიწინებული იყო პოპულაციის მნიშვნელოვანი მახასიათებლები (სტრატები) - ასაკობრივი ჯგუფები და სქესი.

თავდაპირველად გამოყოფილი იყო ოთხი ასაკობრივი ჯგუფი: 14-17 წელი, 18-22 წელი, 23-25 წელი და 26-29 წელი, თუმცა არსებული არსებული გარემოებების გათვალისწინებით გამოიყო 3 კგუფი:

- 14-17 წლის ახალგაზრდები - ეს პერიოდი ემთხვევა საბაზო ან საშუალო საფეხურის დასრულებას;
- 18-24 წლის ახალგაზრდები - ეს პერიოდი ემთხვევა ახალგაზრდების გადასვლას პროფესიული განათლებიდან და/ან უმაღლესი განათლებიდან სამუშაო ბაზარზე და პირველ დასაქმებას;
- 25-29 წლის წლის ახალგაზრდები - ეს პერიოდი პირველი დასაქმების შემდეგ პერიოდად ითვლება.

<u>მონაცემთა შეგროვება და ანალიზი</u>

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ონლაინ გამოკითხვა 11 ივნისიდან 17 ივლისამდე პერიოდში მიმდინარეობდა, ხოლო ფოკუს ჯგუფები და ჩაღრმავებული ინტერვიუები - ივლისსა და აგვისტოში.

აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივ მონაცემთა შეგროვება განხორციელდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, ახალგაზრდობის სააგენტოსა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით.

მონაცემთა ანალიზის დაწყებამდე, მიღებული რაოდენობრივ მონაცემთა ბაზა გაიწმინდა, ხოლო მონაცემები SPSS 26-ის გამოყენებით გაანალიზდა. თვისებრივი მონაცამები კი კონტენტ ანალიზის საშუალებით გაანალიზდა.

<u>კვლევის შეზღუდვები</u>

ვინაიდან რაოდენობრივ მონაცემთა შესაგროვებლად ონლაინ გამოკითხვის მეთოდი გადაწყდა, ყველა ის შეზღუდვა, რაც ონლაინ გამოკითხვას თან ახლავს, ვრცელდება წინამდებარე კვლევაზეც. ეს შეზღუდვებია:

- ვისაც ინტერნეტთან წვდომა არ აქვს, კვლევაში მონაწილეობას ვერ იღებს;
- მაღალია ნაკლული მონაცემების მაჩვენებელი;
- გამოკითხვა დროში გაჭიმულია;
- მკვლევარი ვერ აკონტროლებს კითხვარის შევსების გარემოებებს.

გარდა ამისა, ახალგზარდობის სააგენტოსთან ერთად, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები რესპონდენტთა შერჩევის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული, რაც კვლევის შეზღუდვად უნდა ჩაითვალოს, რადგან კვლევა რესპონდენტთა მიერ ახალგაზრდული მიმართულებით მუნიციპალიტეტის საქმიანობის შეფასებას მოიცავს.

თვისებრივი კვლევის შედეგები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების შესასწავლად კვლევაში მონაწილეობა თავად ახალგაზრდებმა, მუნიციპალიტეტის მერიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს, რომლებიც ახალგაზრდების განვითარების საკითხებზე მუშაობენ. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელების გამოცდილება ამ სფეროში დაახლოებით 2 წელს ითვლის, ხოლო სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელი დაახლოებით 3 წელია რაც კონკრეტულ პოზიციაზე[1] მუშაობს. რაც შეეხება ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდებს, მათი ასაკი 14-დან 30 წლამდე მერყეობს და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლები არიან.

ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევები

ფოკუს ჯგუფის წევრების საუბრიდან გამოიკვეთა მუნიციპალიტეტში არსებული რამდენიმე პრობლემა, რომელიც ახალგაზრდებს აწუხებს, კერძოდ:

- **კულტურული წრეებისა და ღონისძიებების ორგანიზებისთვის საჭირო სივრცეების სიმწირე/არარსებობა;**
- **თავშეყრის ადგილების (კინო, სკვერები) არარსებობა;**
- **ახალგაზრდების ინფორმირებულობის დაბალი დონე სხვადასხვა აქტივობისა და შესაძლებლობის შესახებ;**
- **ახალგაზრდებში მოტივაციის ნაკლებობა სხვადასხვა საკითხზე პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით;**
- **დასაქმების პრობლემა;**
- **ახალგაზრდების მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები;**
- **ტრანსპორტირების პრობლემა;**
- **ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა;**
- **სპორტული მოედნებისა და დარბაზების არარსებობა, რიგ შემთხვევებში კი მათი სარეაბილიტაციო მდგომარეობა; სპორტული წრეების სიმწირე/არარსებობა;**
- **ველო ბილიკების არარსებობა;**
- **ახალგაზრდებში მარიხუანას მოხმარება.**

მონაწილეები თანხმდებიან, რომ მუნიციპალიტეტში არ არსებობს ისეთი სივრცეები, სადაც ახალგაზრდები შეიკრიბებიან და თავისუფალ დროს ნაყოფიერად და საინტერესოდ გაატარებენ. ძირითადი ნაწილი თავისუფალ დროს მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ერთად ყოფნას, სპორტულ აქტივობებს და მუსიკის მოსმენას უთმობს. რამდენიმე მონაწილემ აღნიშნა, რომ თავისუფალ დროს ფოტოგრაფიასა და ხელნაკეთი ნივთების შექმნას უთმობს. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ გურიაში აქვთ შესაძლებლობა ლაშქრობებითა და ბუნებაში გასეირნებით დაკავდნენ, რასაც ხშირად მიმართავენ კიდეც.

მონაწილეების ძირითადი ნაწილი, გარდა 14-17 წლის ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეებისა, აქტიურადაა ჩართული საოჯახო საქმეებში. 18-25 წლის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ პანდემიის პერიოდმა კიდევ უფრო შეუწყო ხელი მათ ოჯახურ საქმეებში ჩართულობას. ამ ასაკობრივი კატეგორიის მამაკაცი მონაწილეები ამბობენ, რომ აქტიურად არიან ჩართული მიწის დამუშავებაში. რამდენიმე მონაწილემ განაცხადა, რომ სამომავლოდ სათბურის გაკეთებას და მცირე ბიზნესის წამოწყებასაც აპირებს. 26-29 წლის მონაწილეების

[1] რესპონდენტის იდენტიფიცირების თავიდან ასაცილებლად არ სახელდება პოზიცია.

განცხადებით, ისინი აქტიურად არიან ჩართული საოჯახო საქმიანობაში, რადგანაც მათი უმრავლესობა მარტო ცხოვრობს. რაც შეეხება 14-17 წლის მონაწილეებს, მათი დიდი ნაწილი ნაკლებად არის დაკავებული საოჯახო საქმიანობით. მხოლოდ გოგონების ნაწილმა განაცხადა, რომ დედებს ეხმარებიან სამზარეულოსა და დედმამიშვილების მოვლაში.

მონაწილეები საუბრობენ მუნიციპალიტეტში არსებულ სხვადასხვა პრობლემაზე. ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ერთ-ერთ პრობლემად ტრანსპორტირების საკითხი დაასახელეს. მათი თქმით, ძირითადი აქტივობები ქალაქში ეწყობა, ხოლო სოფელში მცხოვრებ ახალგაზრდას ამ აქტივობებში ჩართვის ნაკლები შესაძლებლობა აქვს ტრანსპორტის გამო. გარდა ამისა, 14-17 წლის მონაწილეები საუბრობენ სხვადასხვა აქტივობისა და ღონისძიების შესახებ ინფორმაციის გავრცელების პრობლემაზე. მათი განცხადებით, ტარდება ღონისძიებები, თუმცა ამის შესახებ ახალგაზრდები არ არიან ინფორმირებული და მხოლოდ გარკვეული ჯგუფი ახერხებს იყოს ჩართული.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეების აზრით, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო აქტივობებისთვის სივრცეების შექმნა, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარებას. აღნიშნავენ, რომ რაიონში არ აქვთ კინოთეატრი და გართობის სხვა საშუალებები. ერთ-ერთი მონაწილე საუბრობს ახალგაზრდების მიერ მარიხუანას მოხმარებაზე და ამას პრობლემად ასახელებს.

ახალგაზრდები საუბრობენ განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემაზე. 14-17 წლის ასაკობრივი კატეგორიის ერთ-ერთი მონაწილე აცხადებს, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდას არ აქვს შესაბამისი განათლების ხარისხი. მონაწილეები საუბრობენ ასევე იმაზეც, რომ ოზურგეთში არსებობდა უნივერსიტეტის ფილიალი, რომელიც დაიხურა და ამჟამად რეგიონში საუნივერსიტეტო განათლება არ არის ხელმისაწვდომი. ერთ-ერთი მონაწილე აცხადებს, რომ მუნიციპალიტეტში არსებობს პროფესიული სასწავლებელი, რასაც დადებითად აფასებს.

მონაწილეები საუბრობენ დასაქმების პრობლემაზე. მათი თქმით, ბევრი ახალგაზრდა სხვა დიდ ქალაქში გადადის საცხოვრებლად, რადგან მუნიციპალიტეტში ვერ ახერხებენ საკუთარი თავის რეალიზებას და დასაქმებას. შესაბამისად, ახალგაზრდების მიგარაციაც ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა.

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითად ნაწილს მიაჩნია, რომ მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები არ განსხვავდება ახალგაზრდის სქესისა და ასაკის მიხედვით. მათი აზრით, დასაქმების, ტრანსპორტის, თავისუფალი სივრცეების პრობლემა არა მარტო ახალგაზრდების, არამედ ყველასთვის საერთო პრობლემას წარმოადგენს.

> *„ბევრ აქტივობაში რაც დასახელდა ზუსტად ის არის, რომ ტრანსპორტის გაუმართაობაა. აქტივობები როცა იგეგმება, მაშინაც ვერ ვახერხებთ სოფლებიდან ჩასვლას, თუ მანქანა არ გყავს საკუთარი.“ (ქალი 15 წლის, ქალაქი ოზურგეთი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)*

> *"თუნდაც ჩემს თანატოლებში კითხვა რომ დასვათ, დაბრუნდებით თუ არა გურიაში და თქვენი პროფესიით იმუშავებ, ყველას პასუხი იქნება ის, რომ აქ რა უნდა გავაკეთო. ანუ ვერ ხედავენ ჩემი თანატოლები იმას, რომ გურიაში რომ დაბრუნდებიან, რა უნდა გააკეთონ, თავიანთი პროფესიით ვერ ვითარდებიან." (ქალი, 22 წლის, ქალაქრი ოზურგეთი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)*

„ფაქტობრივად, ოზურგეთში გასართობი სივრცე არ არსებობს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ იყოს კინო. გავიგეთ, მეგობრები გვიყვარს და მათთან ერთად კარგია დროის გატარება, მაგრამ ადგილები არაა, რომ წახვიდე. ყველაფერი ზეპირად ვიცით... განათლებას რაც შეეხება, გვქონდა უმაღლესის სასწავლებელი მაგრამ დაიხურა. ეს ჩემთვის ძალიან დიდი გულისტკივილია, რადგან იყო და ახლა აღარ არსებობს.“ (კაცი, 26 წლის, ქალაქი ოზურგეთი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ისაუბრეს, თუ როგორ შეიძლება მათ მიერ დასახელებული პრობლემების გადაჭრა. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა, თუმცა ყველა თანხმდება, რომ თავად მუნიციპალიტეტის მხარდაჭერის გარეშე პრობლემები ვერ მოგვარდება. არასრულწლოვანი მონაწილეები თანხმდებიან, რომ ახალგაზრდებს ხმის მიწვდენა მუნიციპალიტეტამდე შეუძლიათ განცხადების დაწერით. ისინი ფიქრობენ, რომ პრობლემების გადაჭრის მთავარი გზა არის მეტი აქტიურობა და კომუნიკაცია ახალგაზრდებსა და მუნიციპალიტეტს შორის. ერთ-ერთი მონაწილე ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში შეუტანია განცხადება, რასაც არ ჰქონია რეაგირება, შესაბამისად ფიქრობს, რომ აუცილებელია ისეთი პლატფორმის შექმნა, სადაც ისინი გააჟღერებენ თავიანთ საჭიროებებს და პრობლემებს.

18-25 წლის მონაწილეების ძირითადი ნაწილი მიიჩნევს, რომ აუცილებელია კომუნიკაციის არსებობა ახალგაზრდებსა და მუნიციპალიტეტს შორის. ისინი ფიქრობენ, რომ აუცილებელია ახალგაზრდების იდეების მოსმენა, დაფინანსება და სხვადასხვა პროექტების განხორციელება, რაც კონკრეტულად ახალგაზრდებზე იქნება მორგებული. ერთ-ერთი მონაწილე ამბობს, რომ კარგი იქნებოდა ბიზნეს იდეების კონკურსის დაგეგმვა და განხორციელება. ასევე, ერთი მონაწილე შენიშნავს, რომ პერსპექტიულია შიდა ტურიზმის განვითარებისთვის გურიის წარმოჩენა, თუმცა ეს დიდ თანხებთან არის დაკავშირებული.

"მე ვფიქრობ, რომ მეტი კომუნიკაცია, მეტი ჩართულობაა საჭირო. არ უნდა იყოს რაიმე ბარიერი. ნებისმიერ საკითხზე უნდა ვიყოთ გამჭვირვალე. ახალგაზრდები უფრო ჩართულები უნდა იყვნენ და მუნიციპალიტეტს მოთხოვოს მეტი საქმე გაკეთებული და მეტი გადადგმული ნაბიჯი ახალგაზრდებისთვის". (კაცი, 25 წლის, ქალაქი ოზურგეთი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)

„მუნიციპალიტეტმა ახალგაზრდებზე გათვლილი პროექტები უნდა გააკეთოს ძალინ ბევრი. მოიპოვოს ადგილობრივი და საერთაშორისო დაფინანსებები, რომ შექმნას სამუშაო ადგილები უფრო მეტად. მერე დარჩება ახალგაზრდობა საკუთარ ქალაქში და რატომ წავა სხვა ქვეყანაში.“ (კაცი, 26 წლის, ქალაქი ოზურგეთი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)

ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ საუბარი, როგორც მუნიციპალიტეტის მერიის, ისე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებსაც სთხოვეს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის თქმით, ახალგაზრდების ძირითადი პრობლემა **ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობა, ახალგაზრდობის ჩართულობა სხვადასხვა აქტივობაში** და **მიგრაციასთან** დაკავშირებული საკითხებია. რესპონდენტის განცხადებით, ახალგაზრდების პრობლემები არ განსხვავდება სქესის და

ასაკის მიხედვით, თუმცა გამოყოფს დაბა ნასაკირალს, სადაც, მისი განცხადებით, რეპატრირებული მესხები ცხოვრობენ და ამბობს, რომ აღნიშნული დასახლება ჩაკეტილი თემია, თუმცა მათთან მიმდინარეობს მუშაობა. რესპონდენტი ამბობს, რომ დაბა ნასაკირალში განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს გოგონების ნაადრევი ქორწინება.

> *„რომ ვეკითხებოდი რა გინდათ, ფიზიკურად არ გვაქვს სივრცე, ახალგაზრდული სივრცე. ეს იყო ძალიან გამოკვეთილად, ანუ სადაც შეიკრიბებიან, აზრებს გაცვლიან. ჩვენ მუნიციპალიტეტში ვცდილობთ, რომ ყველას მოვერგოთ, მაგრამ უფრო ეფექტური იქნება, თუ უშუალოდ ახალგაზრდები იქნებიან ჩართული დაგეგმვის პროცესში, განხორციელების პროცესში, უფრო მეტი სტიმული ექნებათ ამ ახალგაზრდებს და სხვანაირი პასუხისმგებლობა ექნებათ, თვითონ იქნებიან უშუალოდ ამ პროცესის მონაწილე თავიდან ბოლომდე.“ (სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)*

> *„სოფლებში თითქმის ახალგაზრდები აღარ არიან იმიტომ, რომ ფიზიკურად არც სამუშაო ადგილები აქვთ, არც არაფერი. თუნდაც ნასაკირალი რომ გითხარით, იქ 17-18 წლის ბავშვები უკვე გადადიან თურქეთში სამუშაოდ. ეგ ძალიან დიდი პრობლემა გვაქვს მიგრაციის.“ (სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)*

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ახალგაზრდების წინაშე გამოწვევად ასევე **მიგრაციის** საკითხს მიიჩნევენ. მათი თქმით, მიგრაცია პირდაპირ არის დაკავშირებული მუნიციპალიტეტში **დასაქმების** პრობლემასთან. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტში არ არსებობს **გასართობი სივრცეები**. ასევე, პრობლემას წარმოადგენს **ტრანსპორტირების** საკითხი. მათი განცხადებით, საღამოს ექვსი საათის შემდეგ ტრანსპორტი არ მოძრაობს, რაც სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვას უშლის ხელს. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები თანხმდებიან, რომ აღნიშნული პრობლემები არ განსხვავდება ასაკის, სქესის ან სხვა მახასიათებლის მიხედვით.

> *„გურია არის ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი რეგიონი, ძალიან მაღალია მიგრაციის პროცენტი, თითქმის ახალგაზრდობა არ არის, ძალიან ცოტაა. ახალგაზრდობას ვგულისხმობ 21-დან 35 წლამდე. ცოტა არის ძალიან აქტიური ახალგაზრდები იმიტომ, რომ ან საზღვარგარეთ არიან სამუშაოდ წასულები, ან ვინც სწავლობდა საქართველოში, აღარ ბრუნდება რეგიონში. სამწუხაროდ, ასეთი რეალობა გვაქვს.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)*

> *„კიდევ ერთი ძალიან დიდი პრობლემა რაც არის, მუნიციპალური ტრანსპორტის არყოლაა. 6 საათის შემდეგ პრაქტიკულად კვდება ქალაქი. დღის განმავლობაში სწავლობენ და 3-4 საათზე რომ ჩამოიყვანო და ღონისძიემა დაგეგმო, უკვე 6 საათის მერე ველარ უშვებ. შენი ხარჯებით უნდა წაიყვანო, რაც ძალიან მცირე გვაქვს“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)*

ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული პროგრამები/აქტივობები და ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები

ახალგაზრდული პროგრამების შესახებ საუბრისას, კვლევაში მონაწილე 14 წლიდან 25 წლამდე ახალგაზრდები აღნიშნავენ ინტელექტუალურ, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს. რესპონდენტთა ნაწილის განცხადებით, ისინი თავადაც ჩართული იყვნენ აღნიშნულ აქტივობებში. 14-17 წლის რესპოდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ყოველწლიურად ერთი და იგივე აქტივობები მოსაბეზრებელია და სიახლე სჭირდებათ. რაც შეეხება 26-29 წლის რესპონდენტებს, მათ დიდ ნაწილს არ აქვს ინფორმაცია ახალგაზრდული პროექტების შესახებ.

რესპონდენტების განცხადებით, მთავარ პრობლემას წარმოადგენს სხვადასხვა აქტივობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების დაბალი დონე. ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ მსგავსი ტიპის პროექტებზე წვდომა აქვთ მხოლოდ გარკვეული ჯგუფის ახალგაზრდებს, რაც დიდ პრობლემას წარმოადგენს. შესაბამისად, ერთი და იგივე ახალგაზრდების ჯგუფის ჩართულობა ყველა ღონისძიებაში წარმოადგენს პრობლემას.

> *"პირადად მე ვთვლი, რომ ეს აქტივობები კარგია, მაგრამ ყოველწლიურად ერთი და იგივე აქტივობა უკვე ძალიან მოსაბეზრებელია." (ქალი, 17 წლის, ქალაქი ოზურგეთი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)*

> *„მე, მაგალითად, სანამ ევროპულში შევიდოდი, მუნიციპალიტეტის მიერ დაორგანიზებულ აქტივობებს ვერ ვიგებდი ან იმ საღამოს ვიგებდი, ინფორმაცია არ მქონდა. და კიდევ ის არის, რომ ახალგაზრდების მარტო რაღაც ჯგუფისთვის იქმნება თუ ტარდება აქტივობები." (ქალი 15 წლის, ქალაქი ოზურგეთი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)*

მონაწილეების ნაწილმა სურვილი გამოთქვა, რომ მუნიციპალიტეტმა მათთვის საგანმანათლებლო, სპორტული და გასართობი პროგრამები დაგეგმოს და განახორციელოს. ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ გურიას აქვს რესურსი ჩატარდეს სხვადასხვა მუსიკალური ფესტივალი, რაც უცხოელ ტურისტებში გაზრდის დაინტერესებას ამ მხარის მიმართ. 14-17 წლის მონაწილეების ძირითადი ნაწილი ფიქრობს, რომ საინტერესო იქნება საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება, როგორიც არის ინფორმაციული პროგრამების და ვორქშოფების ჩატარება, სადაც მომავალი პროფესიის შესახებ მეტ ინფორმაციას გაიგებენ.

26-29 წლის რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ პროექტების დაგეგმვისას ახალგაზრდების ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია. მათი აზრით, უნდა მოეწყოს ფართომასშტაბიანი შეხვედრები და მოხდეს იდეების, მოსაზრებების გაცვლა. ერთ-ერთი მონაწილის განცხადებით, სასურველია ამ ყველაფერს ერთგვარი სათათბიროს, საბჭოს სახე მიეცეს. ერთ-ერთი მონაწილე თვლის, რომ ახალგაზრდებს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში სხვადასხვა შეხედულებები, დამოკიდებულებები, შესაძლებლობები და საჭიროებები აქვთ, შესაბამისად თითოეული მათგანის აზრი მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია.

„მე პირადად ყველა აქტივობაში ჩავერთვებოდი, მაგალითად, სამომავლო პროფესიასთან დაკავშირებული ვორქშოფები.“ (ქალი, 17 წლის, ქალაქი ოზურგეთი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)

„ალბათ უნდა მოხდეს საკმაოდ ფართომასშტაბიანი შეხვედრები ახალგაზრდებთან, უნდა დაფიქსირონ თავიანთი მოსაზრება ამა თუ იმ საკითხზე, ამა თუ იმ განსახორციელებენ პროექტზე.“ (კაცი, 25 წლის, ქალაქი ოზურგეთი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, ჯგუფის ყველა მონაწილისთვის ცნობილია, რომ მათ მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციები. აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე 14-17 წლის მონაწილეების თითქმის უმრავლესობა ჩართული არის არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციის აქტივობებში. ამ ასაკობრივი კატეგორიის თითქმის ყველა მონაწილეს სმენია „ევრო კლუბის“ და „ლიდერთა სახლის“ შესახებ და თავადაც მიუღია მონაწილეობა ამ ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ აქტივობებში. რაც შეეხება 26-29 წლის ასაკის მონაწილეებს, დიდ ნაწილს აქვს ინფორმაცია ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, თუმცა უშუალო მონაწილეობა მათ მიერ ორგანიზებულ პროექტებში არ მიუღიათ. მათი განცხადებით, არასამთავრობო ორგანიზაციები უფრო დაბალი ასაკის ახალგაზრდებთან მუშაობენ.

"მსმენია და ვყოფილვარ კიდეც. აბსოლუტურად სხვა გამოცდილება იყო ჩემთვის. კვირაში ერთხელ ახალგაზრდების გარკვეული ჯგუფი ვიკრიბებოდით, გვაყვდა 2 ტრენერი და განვიხილავდით სხვადასხვა საკითხს, თუნდაც პრობლემებს. გასვლითი პროგრამები გვქონდა, იყო დებატებიც, მაგრამ მე არ მიმიღია მაშინ მონაწილეობა. იყო ტრენინგები სხვადასხვა თემაზე.“ (კაცი, 14 წლის, ქალაქი ოზურგეთი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)

„ბავშვის, მოზარდების სეგმენტზე, რომ მუშაობენ.... მათ ჰქონდათ არა ადგილობრივი, არამედ უცხოური დონორების პროექტები და გაცვლითი პროგრამები.“ (კაცი, 26 წლის, ქალაქი ოზურგეთი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)

მონაწილეები დადებითად აფასებენ არასამთავრობო სექტორის მუშაობას და თანხმდებიან, რომ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს დიდი როლი აკისრიათ ახალგაზრდების ჩართულობის გააქტიურების პროცესებში. ერთ-ერთი მონაწილის აზრით, ახალგაზრდულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ შესაძლოა მოახდინოს ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება და ისეთი აქტივობების/პროექტების შეთავაზება, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს პასუხისმგებლიან საზოგადოებად ჩამოყალიბებაში. ჯგუფი თანხმდება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ახალგაზრდებისთვის ძალიან დიდია. მათი თქმით, ეს არის გარემო, სადაც შეუძლიათ მათი ინტერესები გამოამჟღავნონ და მეტი ინფორმაცია გაიგონ. რაც შეეხება ახალგაზრდებისთვის საინტერესო პროექტებს, არასრულწლოვანი მონაწილეების აზრით, კარგი იქნება, მეტი ყურადღება მიაქციონ არაფორმალურ განათებას. ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ დიდი სიამოვნებით დაესწრებოდა ცნობილი ადამიანების ლექციებს.

რაც შეეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელის მოსაზრებებს ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების

შესახებ, რესპონდენტი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტს გარკვეული ახალგაზრდული პროგრამები აქვს და იხსენებს ოლიმპიურ სახლს, სადაც ახალგაზრდებს შეუძლიათ სხვადასხვა სპორტული აქტივობით უფასოდ დაკავდნენ. მისი განცხადებით, მუნიციპალიტეტის მიერ ეწყობა ბანაკები, ასევე, ბავშვებისთვის ეწყობა კულტურულ-შემეცნებითი ტურები. გარდა ამისა, რესპონდენტის თქმით, მუნიციპალიტეტი სხვადასხვა ტიპის სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებსაც აწყობს, ხოლო ბიუჯეტი გადანაწილებულია შესაბამის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებზე, რომლებიც მოგვიანებით, პასუხისმგებელი არიან ამ ღონისძიებების დაგეგმვაზე. მისი განცხადებით, მუნიციპალიტეტში არსებობს პროექტი „იყავი თანამმართველი", რომლის ფარგლებშიც 10 პროექტი დაფინანსდა. ასევე, მისი განცხადებით მუნიციპალიტეტი აფინანსებს შშმ პირთათვის ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია დღის ცენტრი.

მერიის წარმომადგენლის განცხადებით, ცდილობენ ისე დაგეგმონ აქტივობები, რომ მოარგონ ახალგაზრდების საჭიროებებს, თუმცა ეს ყოველთვის ასე არ ხდება. მისი განცხადებით, მუნიციპალიტეტს ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვების რაიმე სისტემური მეთოდი არ გააჩნია. ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში აქამდე არ ჩატარებულა, რადგან დიდ თანხებთან არის დაკავშირებული.

რესპონდენტის განცხადებით, აქტივობებში ძირითადად სკოლის ასაკის ახალგაზრდები არიან ჩართული. სკოლის ასაკის შემდგომ ახალგაზრდების ჩართულობის მაჩვენებელი კი ძალიან დაბალია, რაც გამოწვეულია, ძირითადად, მიგრაციით.

> *„ჩვენი ძალიან დიდი სამსახურია და თითქმის ყველა სფეროს მოიცავს - კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა. ყველა ღონისძიება მართლა ვცდილობთ, რომ მაქსიმალური ხარისხით გავაკეთოთ და მაქსიმალურად ორიენტირებული ვიყოთ ყველა სეგმენტზე. მაგრამ ზოგჯერ ხდება ისე, რომ ვერ ვიგებთ რა უნდათ ახალგაზრდებს, ეგეთი შემთხვევაც არის. საახალწლო ღონისძიებები გვქონდა ყოველთვის 31-ში, ჩამოგვყავდა სხვადასხვა მომღერალი. ბოლო წლებში ისე აღმოჩნდა, რომ მუნიციპალიტეტი იხდიდა ამ თანხას, რეალურად იმართებოდა ეს ღონისძიებები, მაგრამ ახალგაზრდები არ გამოდიოდნენ. ხშირად ყოფილა ისე, რომ მარტო თანამშრომლები ვიყავით და საკმაოდ კოლოსალური თანხები იხარჯებოდა. მერე, როცა არ ჩამოვიყვანეთ, მერე იყო პროტესტი, რომ რატომ არაფერი არ ხდება." (სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)*

რაც შეეხება არასამთავრობო სექტორის მიერ შეთავაზებულ აქტივობებს, ისინი ახალგაზრდებს ძირითადად კულტურულ-საგანმანთლებლო და სპორტულ აქტივობებს სთავაზობენ. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, მწირი ბიუჯეტის გამო, ბევრ პროგრამას ვერ სთავაზობენ ახალგაზრდებს.

ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ამბობს, ორგანიზაციის წარმატებული პროექტია „მონაწილეობრივი ბიუჯეტი", რომელიც ოზურგეთში დაინერგა და რომლის ფარგლებშიც მოსახლეობა ხმის მიცემით უჭერს ამა თუ იმ პროექტს. მისი განცხადებით, გურიაში მოსახლეობის ჩართულობის მაჩვენებელი 35%-ზე მაღალი იყო. ამავე ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადებით, ორგანიზაციის ერთ-ერთ პროექტს წარმოადგენს ინგლისური ენის უფასო შემსწავლელი კურსები სოციალურად

გაჭირვებული ახალგაზრდებისთვის. ასევე აქვთ ინგლისური აკადემია - ინგლისური ენის ფასიანი შემსწავლელი კურსები ახალგაზრდებისთვის. გარდა ამისა, იგეგმება პროექტი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებისთვის გამოიყოფა გრანტები, რომ ის სფერო, რასაც უნივერსიტეტში ეუფლებიან, რეგიონში განავითარონ.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების განცხადებით, პროგრამების დაგეგმვისას ახალგაზრდების მოსაზრებებს ითვალისწინებენ, რომლებსაც მათ მიერ ან სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევების, ოფიციალური სტატისტიკის შედეგების საშუალებით ეცნობიან.

> *„ამ ახალ პროექტში სტუდენტები, რომლებიც არიან წასული რეგიონიდან და სწავლობენ ისეთ ფაკულტეტებზე, რომელიც შეიძლება განვითარდეს ჩვენს რეგიონში, ამათთვის იქნება საგრანტო კონკურსი და ამ ადამიანებს მიეცემა რაღაც თანხები. ერთის მხრივ, ეს კარგია თვითონ რეგიონის პოპულარიზაციისთვის და დარგის პოპულარიზაციისთვის.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)*

რაც შეეხება იმას, თუ როგორ ხდება ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ახალგაზრდებისთვის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ამბობს, რომ ინფორმაციას ღონისძიებების შესახებ მუნიციპალიტეტის ვებგვერდისა და სოციალური ქსელის საშუალებით, ავრცელებენ. გარდა ამისა, რესურსცენტრსა და სკოლებსაც ატყობინებენ სიახლეს და მოგვიანებით ისინი თავად უზრუნველყოფენ ინფორმაციის მოსწავლეებამდე მიტანას. გარდა ამისა, მისი განცხადებით, მას აქვს სოციალურ ქსელში ჯგუფი, სადაც სკოლის მოსწავლეები არიან გაწევრიანებული და ამ პლატფორმასაც იყენებს ინფორმაციის გასავრცელებლად.

ინფორმაციის ონლაინ მიწოდების მეთოდს არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც მიმართავენ და ინფორმაციას ძირითადად სოციალურ ქსელებში აქვეყნებენ. ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, ქმნიან მოსწავლეების საერთო ბაზას და ონლაინ ჩათში აქვთ მათთან კომუნიკაცია. არის ისეთ შემთხვევები, როდესაც სკოლების დირექტორებს უკავშირდებიან და სთხოვენ, აქტიური მოსწავლეების საკონტაქტო ინფორმაციას, რომ შემდეგ ისინი ჩართონ თავიანთ აქტივობებში. ასევე, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადებით, თანამშრომლობენ ადგილობრივ პრესასთან. ასევე, თანამშრომლობენ სხვადასხვა სასწავლებელთან და სოფლის რწმუნებულებთან.

ახალაგაზრდების ჩართულობა

თავად კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ არიან ჩართული. აღსანიშნავია, რომ მონაწილეები ამბობენ, რომ სიამოვნებით ჩაერთვებოდნენ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვის, პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. 18-25 წლის ერთ-ერთი მონაწილე ამბობს, რომ სიამოვნებით ჩაერთვებოდა სტრატეგიის შემუშავების პროცესში. 14-17 წლის ერთ-ერთი მონაწილის განცხადებით, მისმა მეგობრებმა შეიტანეს განცხადება კინოთეატრის შესახებ, თუმცა არ დააკმაყოფილეს. აღსანიშნავია ისიც, რომ რამდენიმე მონაწილემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი დახმარებიათ გარკვეული ღონისძიების განხორციელებაში სივრცის დათმობითა და

ტექნიკის გამოყოფით. რესპოდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მონაწილეობას დიდი სიამოვნებით მიიღებდა, ნაწილი კი იდეის ჩამოყალიბებასა და უშუალოდ განხორციელების პროცესში ჩაერთვებოდა. ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ ბიუჯეტის ზუსტად ცოდნის შემთხვევაში, უფრო მარტივი იქნება პროექტის დაგეგმვა და განხორციელება.

> *"დახმარებას გვიწევენ, როცა გვჭირდება, მაგალითად, სივრცის გამოყოფა. მაგრამ არის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრობლემა. ყველა ვერ იღებს ინფორმაციას. იდეა გვქონდა კინოთეატრზე, მაგრამ არ განიხილეს." (ქალი, 15 წლის, ქალაქი ოზურგეთი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)*

> *„ბიუჯეტის განხილვაში პასიურობენ ახალგაზრდები. მეტ-ნაკლებად არიან ჩართულები, მაგრამ ჩემი გადასახედიდან უფრო მეტი უნდა იყოს ჩართული და არამარტო ბიუჯეტის, არამედ ბევრ საქმიანობაში უნდა იყვნენ ზომიერად ჩართულები." (კაცი, 25 წლის, ქალაქი ოზურგეთი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)*

იმავე აზრს ავითარებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელიც და ამბობს, რომ ახალგაზრდები არ არიან ჩართულები მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. მისი განცხადებით, თავად მუნიციპალიტეტის საქმიანობაშიც შესაცვლელია მიდგომები და იმედოვნებს, რომ მალე შეიცვლება. მისი თქმით, გეგმავს ჩაატაროს შეხვედრები ახალგაზრდებთან და შექმნას ახალგაზრდების ერთიანი ბაზა.

მუნიციპალიტეტისა და არასამთავრობო სექტორის სამომავლო გეგმები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ მათ სურთ, ახალგაზრდების გააქტიურების მიმართულებით მუშაობა და ახალგაზრდობის სააგენტოს მხარდაჭერის იმედი აქვთ. ზოგადად კი აპირებენ, რომ მუნიციპალიტეტის სტრატეგიის მომზადებაში ახალგაზრდები და ამ საკითხებზე მომუშავე სხვა პირები, ორგანიზაციები ჩართონ. ასევე, მისი განცხადებით, მნიშვნელოვანია სახელმწიფო უწყებებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა კოორდინირებულად იმუშაონ ახალგაზრდულ საკითხებზე.

რაც შეეხება არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, მათი განცხადებით, პანდემიის გათვალისწინებით, სამომავლო გეგმები ნაწილობრივ შეცვალეს და მოარგეს არსებულ გარემოებებს. რესპონდენტები აცხადებენ, რომ სამომავლო პროექტებს ახალგაზრდების ჩართულობით და მათი მოთხოვნილებების გათვალისწინებით გეგმავენ.

დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების შესასწავლად თვისებრივ კვლევაში მონაწილეობა თავად ახალგაზრდებმა, მუნიციპალიტეტის მერიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს. ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ საუბრისას ყველა ტიპის რესპონდენტმა, როგორც ახალგაზრდებმა, ისე საჯარო და არასაჯარო სექტორის წარმომადგენლებმა დასაქმება, მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები, ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემები და

განათლების ხელმისაწვდომობა დაასახელეს პრობლემად, თუმცა კვლევაში მონაწილეები სხვადასხვა სახის გამოწვევაზეც საუბრობენ.

თავად ახალგაზრდების თქმით, მუნიციპალიტეტში არ არის ან მცირე რაოდენობითაა სპორტული მოედნები, დარბაზები, კულტურული წრეები, კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისთვის საჭირო სივრცეები, ახალგაზრდების თავშეყრის ადგილები, მაგალითად, კინო, სკვერები. ფოკუს ჯგუფის მონაწილეების აზრით, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში კულტურული და საგანმანათლებლო აქტივობებისთვის სივრცეების შექმნა, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარებას. ასევე, პრობლემურად მიიჩნიეს ახალგაზრდების ინფორმირებულობის დონე სხვადასხვა აქტივობის შესახებ, ზოგადი ინტერესის და მოტივაციის არარსებობა, როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე ახალგაზრდების მხრიდან. რამდენიმე ახალგაზრდამ მუნიციპალიტეტში ტრანსპორტის პრობლემაზე გამახვილა ყურადღება.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ისაუბრეს, თუ როგორ შეიძლება მათ მიერ დასახელებული პრობლემების გადაჭრა. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა, თუმცა ყველა თანხმდება, რომ თავად მუნიციპალიტეტის მხარდაჭერის გარეშე პრობლემები ვერ მოგვარდება. ისინი ფიქრობენ, რომ პრობლემების გადაჭრის მთავარი გზა არის მეტი აქტიურობა და კომუნიკაცია ახალგაზრდებსა და მუნიციპალიტეტს შორის. ერთ-ერთი მონაწილე ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში შეუტანია განცხადება, რასაც არ ჰქონია რეაგირება, შესაბამისად ფიქრობს, რომ აუცილებელია ისეთი პლატფორმის შექმნა, სადაც ისინი გააჟღერებენ თავიანთ საჭიროებებს და პრობლემებს. ისინი ფიქრობენ, რომ აუცილებელია ახალგაზრდების იდეების მოსმენა, დაფინანსება და ისეთი პროექტების განხორციელება, რაც კონკრეტულად ახალგაზრდებზე იქნება მორგებული.

გარდა ახალგაზრდებისა, ახალგაზრდების წინაშე მდგარ გამოწვევებზე როგორც მუნიციპალიტეტის მერიის, ისე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმაც ისაუბრეს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის თქმით, ახალგაზრდების ძირითადი პრობლემა ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობა, ახალგაზრდობის ჩართულობა სხვადასხვა აქტივობაში და მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხებია. რესპონდენტის აზრით, ახალგაზრდებს მუნიციპალიტეტის დონეზე ძირითადად ერთმანეთის მსგავსი პრობლემები აწუხებთ.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ახალგაზრდების წინაშე გამოწვევად ასევე მიგრაციის საკითხს მიიჩნევენ. მათი თქმით, მიგრაცია პირდაპირ არის დაკავშირებული მუნიციპალიტეტში დასაქმების პრობლემასთან. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტში არ არსებობს გასართობი სივრცეები. ასევე, პრობლემას წარმოადგენს ტრანსპორტირების საკითხი. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები თანხმდებიან, რომ აღნიშნული პრობლემები არ განსხვავდება ასაკის, სქესის ან სხვა მახასიათებლის მიხედვით.

კვლევის მონაწილეებს სთხოვეს, შეეფასებინათ ის პროგრამები, რომელსაც მუნიციპალიტეტი და არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. ახალგაზრდული პროგრამების შესახებ საუბრისას, კვლევაში მონაწილე 14 წლიდან 25 წლამდე ახალგაზრდები აღნიშნავენ ინტელექტუალურ, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს. რესპონდენტთა ნაწილის განცხადებით, ისინი

თავადაც ჩართული იყვნენ აღნიშნულ აქტივობებში. რაც შეეხება 26-29 წლის რესპონდენტებს, მათ დიდ ნაწილს არ აქვს ინფორმაცია ახალგაზრდული პროექტების შესახებ. რესპონდენტების განცხადებით, მთავარ პრობლემას წარმოადგენს სხვადასხვა აქტივობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების დაბალი დონე. ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ მსგავსი ტიპის პროექტებზე წვდომა აქვთ მხოლოდ გარკვეული ჯგუფის ახალგაზრდებს, რაც დიდ პრობლემას წარმოადგენს.

მონაწილეების ნაწილმა სურვილი გამოთქვა, რომ მუნიციპალიტეტმა მათთვის საგანმანათლებლო და გასართობი პროგრამები განახორციელოს. რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ პროექტების დაგეგმვისას ახალგაზრდების ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, ჯგუფის ყველა მონაწილისთვის ცნობილია, რომ მათ მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციები. აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე არასრულწლოვანი მონაწილეების თითქმის უმრავლესობა ჩართული არის არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციის აქტივობებში. ამ ასაკობრივი კატეგორიის თითქმის ყველა მონაწილეს სმენია „ევრო კლუბის“ და „ლიდერთა სახლის“ შესახებ და თავადაც მიუღია მონაწილეობა ამ ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ აქტივობებში. რაც შეეხება 26-29 წლის ასაკის მონაწილეებს, დიდ ნაწილს აქვს ინფორმაცია ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, თუმცა უშუალო მონაწილეობა მათ მიერ ორგანიზებულ პროექტებში არ მიუღიათ. მათი განცხადებით, არასამთავრობო ორგანიზაციები უფრო დაბალი ასაკის ახალგაზრდებთან მუშაობენ.

მონაწილეების ნაწილი თანხმდება, რომ სასურველია არასამთავრობო ორგანიზაციებმა აქტიურად განახორციელონ პროექტები არაფორმალური განათლების კუთხით. მონაწილეები დადებითად აფასებენ არასამთავრობო სექტორის მუშაობას და თანხმდებიან, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ახალგაზრდებისთვის ძალიან დიდია. მათი თქმით, ეს არის გარემო, სადაც შეუძლიათ მათი ინტერესები გამოამჟღავნონ და მეტი ინფორმაცია გაიგონ სხვადასხვა საკითხის შესახებ.

რაც შეეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელის მოსაზრებებს ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული აქტივობების შესახებ, რესპონდენტი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტს გარკვეული ახალგაზრდული პროგრამები აქვს, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდებს შეუძლიათ დაკავდნენ სპორტული აქტივობით, ასევე ბავშვებისთვის ეწყობა კულტურულ-შემეცნებითი ტურები. ასევე, მისი განცხადებით, მუნიციპალიტეტში არსებობს პროექტი „იყავი თანამმართველი“, რომლის ფარგლებშიც 10 პროექტი დაფინანსდა. მისი განცხადებით, აქტივობებში ძირითადად სკოლის ასაკის ახალგაზრდები არიან ჩართული. სკოლის ასაკის შემდგომ ახალგაზრდების ჩართულობის მაჩვენებელი კი ძალიან დაბალია, რაც გამოწვეულია, ძირითადად, მიგრაციით.

მერიის წარმომადგენლის განცხადებით, ცდილობენ ისე დაგეგმონ აქტივობები, რომ მოარგონ ახალგაზრდების საჭიროებებს, თუმცა ეს ყოველთვის ასე არ ხდება და არაეფექტურად მიაჩნია ის ღონისძიებები, რომელიც ახალგაზრდების ინტერესების მიხედვით დაგეგმილი არ არის. რესპონდენტის თქმით, ზოგადად, მუნიციპალიტეტში არ ხდება ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლა და/ან ინფორმაციის სისტემური შეგროვება, რასაც პროგრამების დაგეგმვის ეტაპებზე გამოიყენებდნენ.

რაც შეეხება არსამთავრობო სექტორის მიერ შეთავაზებულ აქტივობების, ისინი ახალგაზრდებს ძირითადად კულტურულ-საგანმანთლებლო აქტივობებს სთავაზობენ. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ამბობს, ერთ-ერთ წარმატებული პროექტია „მონაწილეობრივი ბიუჯეტი“, რომელიც ოზურგეთში დაინერგა და რომლის ფარგლებშიც მოსახლეობა ხმის მიცემით უჭერს ამა თუ იმ პროექტს. მისი განცხადებით, გურიაში მოსახლეობის ჩართულობის მაჩვენებელი 35%-ზე მაღალი იყო. გარდა ამისა, იგეგმება პროექტი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებისთვის გამოიყოფა გრანტები, რომ ის სფერო, რასაც უნივერსიტეტში ეუფლებიან, რეგიონში განავითარონ.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების განცხადებით, პროგრამების დაგეგმვისას ახალგაზრდების მოსაზრებებს ითვალისწინებენ, რომლებსაც მათ მიერ ან სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევების შედეგების საშუალებით ან ოფიციალურად გამოქვეყნებული სტატისტიკით ეცნობიან.

კვლევისთვის საინტერესო იყო ისიც, თუ როგორ ხდება ახალგაზრდებისთვის ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ამბობს, რომ ინფორმაციას ღონისძიებების შესახებ მუნიციპალიტეტის ვებგვერდსა და სოციალური ქსელის საშუალებით ავრცელებენ. გარდა ამისა, რესურსცენტრსა და სკოლებსაც ატყობინებენ სიახლეს და მოგვიანებით ისინი თავად უზრუნველყოფენ ინფორმაციის მოსწავლეებამდე მიტანას. გარდა ამისა, მისი განცხადებით, მას აქვს სოციალურ ქსელში ჯგუფი, სადაც სკოლის მოსწავლეები არიან გაწევრიანებული და ამ პლატფორმასაც იყენებს ინფორმაციის გასავრცელებლად.

ინფორმაციის ონლაინ მიწოდების მეთოდს არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც იყენებენ და ინფორმაციას ძირითადად სოციალურ ქსელებში აქვეყნებენ. ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, ქმნიან მოსწავლეების საერთო ბაზას და ონლაინ ჩათში აქვთ მათთან კომუნიკაცია. არის ისეთ შემთხვევები, როდესაც სკოლების დირექტორებს უკავშირდებიან და სთხოვენ, აქტიური მოსწავლეების საკონტაქტო ინფორმაციას, რომ შემდეგ ისინი ჩართონ თავიანთ აქტივობებში. ასევე, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადებით, თანამშრომლობენ ადგილობრივ პრესასთან. ასევე, თანამშრომლობენ სხვადასხვა სასწავლებელთან და სოფლის რწმუნებულებთან.

კვლევა ასევე სწავლობდა ახალგაზრდების ჩართულობას მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. მონაწილეები ამბობენ, რომ სიამოვნებით ჩაერთვებოდნენ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვის, პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. 18-25 წლის ერთ-ერთი მონაწილე ამბობს, რომ სიამოვნებით ჩაერთვებოდა სტრატეგიის შემუშავების პროცესში. 14-17 წლის ერთ-ერთი მონაწილის განცხადებით, მისმა მეგობრებმა შეიტანეს განცხადება კინოთეატრის შესახებ, თუმცა არ დააკმაყოფილეს. აღსანიშნავია ისიც, რომ რამდენიმე მონაწილემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი დახმარებიათ გარკვეული ღონისძიების განხორციელებაში სივრცის დათმობითა და ტექნიკის გამოყოფით.

იგივე აზრს ავითარებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელიც და ამბობს, რომ ახალგაზრდები არ არიან ჩართულები მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. მისი განცხადებით, თავად მუნიციპალიტეტის საქმიანობაშიც შესაცვლელია მიდგომები და

იმედოვნებს, რომ მალე შეიცვლება. მისი თქმით, გეგმავს ჩაატაროს შეხვედრები ახალგაზრდებთან და შექმნას ახალგაზრდების ერთიანი ბაზა.

გარდა ზემოთ განხილული თემებისა, კვლევისთვის საინტერესო იყო ახალგაზრდულ პროგრამებთან დაკავშირებული მუნიციპალიტეტისა და არასამთავრობო ორგანიზაციების სამომავლო გეგმები. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ მათ სურთ ახალგაზრდების გააქტიურების მიმართულებით მუშაობა და აპირებენ, რომ მუნიციპალიტეტის სტრატეგიის მომზადებაში ახალგაზრდები და ამ საკითხებზე მომუშავე სხვა პირები და ორგანიზაციები ჩართონ. რაც შეეხება არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, მათი განცხადებით, პანდემიის გათვალისწინებით, სამომავლო გეგმები ნაწილობრივ შეცვალეს და მოარგეს არსებულ გარემოებებს. რესპონდენტები აცხადებენ, რომ სამომავლო პროექტებს ახალგაზრდების ჩართულობით და მათი მოთხოვნილებების გათვალისწინებით გეგმავენ.

რაოდენობრივი კვლევის შედეგები

ახალგაზრდების დემოგრაფიული მახასიათებლები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მასშტაბით კვლევაში მონაწილეობა 302-მა ახალგაზრდამ მიიღო, რომელთა ასაკი 14-დან 30 წლამდე მერყეობს. მათგან 125 ახალგაზრდა (41%) 14-17 წლის ასაკობრივ ჯგუფში ექცევა, 110 ახალგაზრდა (26%) - 18-25 წლის ასაკობრივ კატეგორიაში, ხოლო 26-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში 67 ახალგაზრდაა (22%) (იხ. დანართი, ცხრილი 1). ახალგაზრდების 54% მდედრობითი სქესის, ხოლო 44% მამრობითი სქესის წარმომადგენელია, 2%-მა კი არ ისურვა სქესის მითითება (იხ. დანართი, ცხრილი 2). მათი უმრავლესობა (46%) ქალაქ ოზურგეთში ცხოვრობს, 40% - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში ცხოვრობს, ხოლო 14% - დაბის ტიპის დასახლებაში (იხ დანართი, ცხრილი 3).

ოზურგეთში გამოკითხული ახალგაზრდების დიდი ნაწილი (40%) სკოლის მოსწავლეა, მეხუთედი (20%) კი სტუდენტია (უნივერსიტეტის სტუდენტი - 16%, პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი - 4%). გამოკითხული ახალგაზრდების მეხუთედზე ცოტათი მეტი (21%) აღნიშნავს, რომ უნივერსიტეტი ან პროფესიული სასწავლებელი უკვე დაასრულა (უნივერსიტეტი დაასრულა - 18%, პროფესიული სასწავლებელი დაასრულა - 3%), ხოლო დაახლოებით მეექვსედს (14%) საშუალო განათლება აქვს მიღებული, 5% აღნიშნავს, რომ შეწყვიტა უნივერსიტეტში ან პროფესიულ სასწავლებელში განათლების მიღება (უნივერსიტეტში სწავლა შეწყვიტა - 3%, პროფესიულ სასწავლებელში სწავლა შეწყვიტა - 2%), ხოლო გამოკითხული ახალგაზრდების 1%-ს კი არ დაუსრულებია საშუალო განათლების მიღება (იხ. დანართი, ცხრილი 20).

გამოკითხული ზრდასრული ახალგაზრდების უმრავლესობა არ არის დაქორწინებული (79%) და არ ჰყავს შვილი (86%). აბსოლუტური უმრავლესობა (99%) კი თავს ეთნიკურ ქართველად მიიჩნევს (იხ. დანართი, ცხრილი 84, 86 და 88).

სამოქალაქო აქტიურობა და პოლიტიკური პროცესებით დაინტერესება

კვლევაში მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო ახალგაზრდების სამოქალაქო აქტიურობის საკითხს. შეკითხვაზე, თუ როგორ შეაფასებდნენ თავიანთ სამოქალაქო აქტიურობას, გამოკითხული ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი (34%) ამბობს, რომ აქტიურია (ძალიან აქტიური ან აქტიური), მეტ-ნაკლებად აქტიურად ახასიათებს თავს რესპონდენტთა 48%, ხოლო 18% მიიჩნევს, რომ არ არის აქტიური. 14-17 წლის ახალგაზრდების მეოთხედი (25%) მიიჩნევს, რომ არ არის აქტიური, 18-25 წლის ახალგაზრდების 11% მიიჩნევს იმავეს, ასევე 26-29 წლის ახალგაზრდების 15% იზიარებს იმავე მოსაზრებას (იხ. დანართი, ცხრილი 53). ამასთანავე, მდედრობითი სქესის ახალგაზრდების 20% მიიჩნევს, რომ არ არის აქტიური, ხოლო მამრობითი სქესის ახალგაზრდების 15% ფიქრობს იმავეს.

მათგან, ვინც აცხადებს რომ არის აქტიური ან მეტ-ნაკლებად აქტიური სამოქალაქო ჩართულობის მიმართულებით, უმრავლესობა (35%) ამბობს, რომ მიიღო მონაწილეობა სოციალური ქსელში გამართულ აქტივობებსა და ფორუმებში, 19% ამბობს, რომ მოისმინა მერის მომზადებული ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, 18% ამბობს, რომ გამოხატა აზრი მედიის (ტელევიზია, რადიო, ჟურნალ-გაზეთი) საშუალებით ან მიიღო მონაწილეობა

დასახლების საერთო კრებაში, 17% აცხადებს, რომ ხელი მოაწერა პეტიციას, 12%-მა კი მონაწილეობა მიიღო საპროტესტო დემონსტრაციაში/ღონისძიებაში (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (52%) ამბობს, რომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით არ არის ან საერთოდ არ არის დაინტერესებული. 40% ამბობს, რომ დაინტერესებულია, ხოლო დაახლოებით მეათედს (8%) კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს (იხ. დანართი, ცხრილი 49). კითხვაზე, მიიღეთ თუ არა მონაწილეობა ბოლო არჩევნებში, იმ ახალგაზრდების უმრავლესობა (71%), რომელიც არჩევნების დრო სრულწლოვანი იყო (52%), ამბობს, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო (იხ. დანართი, ცხრილი 51).

ზოგადად, გამოკითხული ახალგაზრდების 42% ფიქრობს, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებული არ არის. 28%-მა არ იცის, რამდენად არის გათვალიწინებული ახალგაზრდების ინტერესები მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში, ხოლო გამოკითხულთა დაახლოებით მესამედი (31%) ფიქრობს, რომ მათი ინტერესები გათვალიწინებულია (იხ. დანართი, ცხრილი 52).

კვლევისთვის საინტერესო იყო ახალგაზრდების დამოკიდებულება სხვადასხვა პოლიტიკური თუ საჯარო ინსტიტუტის მიმართ, რისთვისაც გამოკითხულ ახალგაზრდებს სთხოვეს, მოენიშნათ არაუმეტეს 5 ინსტიტუტისა, რომელსაც ენდობიან. ყველაზე ხშირად გამოკითხული ახალგაზრდები ნდობას საქართველოს მართმადიდებლურ ეკლესიას (36%), საქართველოს ჯარს (26%), საქართველოს მთავრობას (22%) და პოლიციას (22%) უცხადებენ. სხვა ინსტიტუტების მიმართ ნდობა კიდევ უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2



შენიშვნა: რესპონდენტებს 5 პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პროგრამები და სერვისები

კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პროგრამებისა და სერვისების შესახებ ინფორმირებულობისა და ამ პროგრამებსა და სერვისებში ახალგაზრდების ჩართულობის საკითხებს. როგორც აღმოჩნდა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ძირითადად სოციალური ქსელების საშუალებით იღებენ (69%), ინფორმაციის მიღების წყაროდ დასახელდა ასევე ტელევიზია (43%), ახლობლები/მეგობრები/ნათესავები (30%) და ადგილობრივი ხელისუფლება (15%). ყველაზე ნაკლებად ახალგაზრდები ინფორმაციას რადიოს ან პოდკასტის საშუალებით

იღებენ (1%). ასევე, რესპონდენტთა 3% აცხადებს, რომ საერთოდ ვერ იღებს ინფორმაციას (იხ. დანართი, ცხრილი 55).

გამოკითხული ახალგაზრდების მხოლოდ 6% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ინტენსიურად იყო ჩართული მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ინტენსიურად იყო ჩართული გამოკითხულთა 6%, რამდენჯერმე მიიღო მსგავს აქტივობაში მონაწილეობა 17%-მა, ერთხელ მიიღო მონაწილეობა 7%-მა, ხოლო არ მიუღია მონაწილეობა 71%-ს (იხ. დანართი, ცხრილი 56). მათგან, ვინც აცხადებს, რომ არ მიუღია მონაწილეობა გასული 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, 40%-ს წარმოადგენს 14-17 წლის ახალგაზრდები, 35%-ს შეადგენს 18-25 წლის ახალგაზრდები, ხოლო მეოთხედს (25%) შეადგენს 26-29 წლის ახალგაზრდები.

რაც შეეხება იმის მიზეზს, თუ რატომ ვერ ჩაერთვნენ გასული 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გამოკითხული ახალგაზრდების 33% ამბობს, რომ არ ჰქონდა ინფორმაცია, ხოლო 21%-ის განცხადებით, არავის მიუწვევია მსგავს აქტივობაში ჩასართავად, 18%-ის თქმით, არ იყო მისთვის საინტერესო ღონისძიება, ხოლო 18% ამბობს, რომ არ ჰქონდა დრო (იხ. დანართი, ცხრილი 57).

რაც შეეხება ჩართულობის ხარისხს, იმ შემთხვევაში, როცა ახალგაზრდები ჩაერთვნენ ბოლო 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში (30%), 41%-ის განცხადებით მიაწოდეს ინფორმაცია, 33% აცხადებს, რომ ჰკითხეს აზრი, ხოლო 21% ამბობს, რომ აქტიურად იყო ჩართული, 8%-ის განცხადებით კი, მათმა ჩართულობამ გავლენა მოახდინა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, 18% ამბობს, რომ მხოლოდ ფორმალურად იყო ჩართული (იხ. დანართი, ცხრილი 58_1 - ცხრილი 58_6).

რაც შეეხება ახალგაზრდულ პროგრამებში რესპონდენტების ჩართულობას, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მეტს (54%) ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში. ნახევარზე ნაკლებს (46%) კი არ მიუღია მსგავს პროგრამებში მონაწილეობა, უფრო კონკრეტულად კი - 28%-ს არ მიუღია მონაწილეობა, თუმცა სმენია პროგრამის შესახებ, ხოლო 18%-ს არ მიუღია მონაწილეობა და არც სმენია მსგავსი პროგრამის შესახებ. მათგან ვისაც მსგავს პროგრამაში/პროგრამებში მიუღია მონაწილეობა უმრავლესობა (74%) დადებითად აფასებს მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი აქტივობების ხარისხს (ძალიან დადებითად - 18%, დადებითად - 55%) (იხ. დანართი, ცხრილი 59).

კვლევისთვის ასევე საინტერესო იყო, მიუმართავთ თუ არა ახალგაზრდებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტისთვის რაიმე პროექტის ან/და ინიციატივის განხორციელების მიზნით. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ახალგაზრდების დაახლოებით მეოთხედს (27%) მიუმართავს მსგავსი იდეით მუნიციპალიტეტისთვის, ხოლო უმრავლესობას (73%) - არა (იხ. დანართი, ცხრილი 17).

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (60%) მიღებული განათლების ხარისხით კმაყოფილია. დაახლოებით მესამედი (31%) კი არც კმაყოფილებას და არც უკმაყოფილებას გამოთქვამს და მათ მიერ მიღებული განათლების ხარისხს საშუალოდ აფასებს, უკმაყოფილებას კი მხოლოდ 10% გამოთქვამს (იხ. დანართი, ცხრილი 21)[2].

რაც შეეხება ახალგაზრდების მიერ უცხო ენის ცოდნას, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში თითქმის ყოველი მეორე გამოკითხული ახალგაზრდა ამბობს, რომ ფლობს ერთ უცხო ენას მაინც (57%) - ყველაზე ხშირად კი ინგლისურ ენას (84%) (იხ. დანართი, ცხრილი 22 და ცხრილი 23).

კვლევისთვის ასევე საინტერესო იყო, ახალგაზრდების ჩართულობა უწყვეტ განათლებაში. გამოკითხული ახალგაზრდების 43% აცხადებს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში რაიმე ტრენინგ კურსში მონაწილეობა მიუღიათ. კითხვაზე, ზოგადად, ყოფილა თუ არა შემთხვევა, როცა ვერ დაესწრნენ ტრენინგს, გამოკითხულთა უმრავლესობა (58%) ამბობს, რომ ასეთი შემთხვევა არ ყოფილა, დაახლოებით მეოთხედი ამბობს, რომ რამდენჯერმე ყოფილა (28%), ხოლო 13% ამბობს, რომ ბევრჯერ მომხდარა მსგავსი შემთხვევა (იხ. დანართი, ცხრილი 24 და ცხრილი 25). მათგან ვინც ამბობს, რომ სურდა დასწრება ტრენინგზე, მაგრამ ხელი შეეშალა, ყველაზე ხშირ ხელშემშლელ ფაქტორად დროის უქონლობას (51%), ინფორმაციის არქონასა (22%) და საჭირო თანხის უქონლობას (21%) ასახელებენ (იხ. დანართი, ცხრილი 26_1 - ცხრილი 26_6).

ზოგადად, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (65%) ამბობს, რომ მომავალი 12-24 თვის მანძილზე სწავლის გაგრძელებას გეგმავს (იხ. დანართი, ცხრილი 27), მაგრამ ახალგაზრდების ნახევარზე მეტი პროფესიულ განათლებასა (63%) და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას (61%) პრობლემურ საკითხებად მიიჩნევს (იხ. დანართი, ცხრილი 79_3 და ცხრილი 79_4)[3]. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხებს 18-25 წლის ახალგაზრდები, 14-17 წლის ახალგაზრდებთან შედარებით, უფრო პრობლემურად მიიჩნევენ[4].

გარდა აღნიშნული საკითხებისა, კვლევა ასევე სწავლობდა ახალგაზრდების წვდომას საინფორმაციო ტექნოლოგიებზე. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა ამბობს, რომ წვდომა კომპიუტერთან (79%) და ინტერნეტთან (90%) ყოველდღიურად აქვს. ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი (73%) თვლის, რომ ინტერნეტი, რომელზეც წვდომა აქვთ ხარისხიანია (იხ. დანართი, ცხრილი 28, 29 და 30). ზოგადად, მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები ყველაზე ხშირად საინფორმაციო ტექნოლოგიებს სხვადასხვა სახის ინფორმაციის გასაცნობად (63%),

[2] პასუხები 5 ქულიანი სკალიდან 3 ქულიან სკალაზე გადაიკოდა. 1 და 2 ქულა დაჯგუფდა, როგორც - 1, 3 ქულა - 2, ხოლო 4 და 5 ქულა დაჯგუფდა, როგორც 3.

[3] პასუხები 5 ქულიანი სკალიდან 3 ქულიან სკალაზე გადაიკოდა. 1 და 2 ქულა დაჯგუფდა, როგორც - 1, 3 ქულა - 2, ხოლო 4 და 5 ქულა დაჯგუფდა, როგორც 3.

[4] ანალიზისთვის გამოყენებულია სტატისტიკური ტესტი Kruskal Wallis, (χ 2 (12.654), F(2), p=.02) და (χ 2 (14.576), F(2), p=.000).

სასწავლო მიზნით (56%), ასევე ხშირად გასართობად (53%) და ახლობლებთან საკონტაქტოდ (53%) იყენებენ (იხ. დანართი, ცხრილი 31_1 - ცხრილი 31_7).

დასაქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები

კვლევის ინტერესის საგანს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების დასაქმების საკითხებიც წარმოადგენდა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 14-17 წლამდე გამოკითხული ახალგაზრდების მცირე წილი - 3% დასაქმებულია, 17% ეძებს სამუშაოს, ხოლო 80% არაა დასაქმებული და ამ ეტაპზე სამუშაოს არ ეძებს. რაც შეეხება სრულწლოვან ახალგაზრდებს, ზოგადად გამოკითხული სრულწლოვანი ახალგაზრდების მესამედზე მეტი (39%) ამბობს, რომ დასაქმებულია, უფრო დეტალურად კი, 18-დან 26 წლამდე ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი (30%) ამბობს, რომ დასაქმებულია, ნახევარზე მეტი (55%) ეძებს სამსახურს, ხოლო 15% არაა დასაქმებული და დასაქმებას არ ცდილობს. 26-დან 30 წლამდე ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (54%) ამბობს, რომ დასაქმებულია, 42% სამსახურს ეძებს, ხოლო 4% არ არის დასაქმებული, თუმცა სამსახურს არ ეძებს (იხ. დიაგრამა 3).

დიაგრამა 3



შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

გამოკითხულთაგან დასაქმებული სრულწლოვანი ახალგაზრდების უმრავლესობა (42%) კერძო ორგანიზაციაშია დასაქმებული, დაახლოებით მეოთხედი (27%) კი - სახელმწიფო

სამსახურში, ახალგაზრდების 18% კი თვითდასაქმებულია (იხ. დანართი, ცხრილი 40). დასაქმებული სრულწლოვანი ახალგაზრდების უმრავლესობა სრულ განაკვეთზე მუშაობს (62%), ასევე უმრავლესობაა ხელშეკრულებით დასაქმებული (63%). სრულწლოვანი ახალგაზრდების უმრავლესობა (54%) საშუალოდ კვირაში 40 საათს ან ნაკლებს მუშაობს, ხოლო 46% კვირაში საშუალოდ 41-დან 100 საათამდე მუშაობს (იხ. დანართი, ცხრილი 44).

დასაქმებული სრულწლოვანი ახალგაზრდების უმრავლესობა (60%) ამბობს, რომ კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია სამსახურით, მესამედზე მეტი (37%) კი არც კმაყოფილებას და არც უკმაყოფილებას გამოთქვამს და ნეიტრალურ დამოკიდებულებას გამოხატავს თავისი სამუშაოსადმი. ახალგაზრდების მხოლოდ 3% ამბობს, რომ სამსახურით უკმაყოფილოა (იხ. დანართი, ცხრილი 45).

რაც შეეხება გამოკითხულთაგან სრულწლოვან ახალგაზრდებს, რომლებიც არ არიან დასაქმებული (61%), უმუშევრობის ძირითად მიზეზებად დასაქმების მიმართ ინტერესის არარსებობას (29%), დასაქმების სერვისების არარსებობას (25%), ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის არ ქონას (16%) და პროფესიული უნარ-ჩვევების ნაკლებობას (11%) ასახელებენ, ხოლო 13%-ს კონკრეტული მიზეზი არ აქვს. აღსანიშნავია, რომ 26-დან 30 წლამდე ახალგაზრდები უმუშევრობის მიზეზად დასაქმების სერვისების არარსებობასა და ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის არ ქონას უფრო ხშირად ასახელებენ, ვიდრე 18-25 წლის ახალგაზრდები (იხ. დიაგრამა 4). კითხვაზე, თუ რა დაეხმარებოდათ დასაქმებაში, სრულწლოვანმა ახალგაზრდებმა ყველაზე ხშირად პროფესიული ცოდნისა და უნარების გაუმჯობესება (41%) და სტაჟირების შესაძლებლობა (25%) დაასახელეს (იხ. დანართი, ცხრილი 48_1 - ცხრილი 48_8).

დიაგრამა 4

რა არის თქვენი უმუშევრობის ძირითადი მიზეზი? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

ზოგადად, გამოკითხული ახალგაზრდების დაახლოებით ნახევარზე მეტი (63%) ამბობს, რომ დასაქმების საკითხი მათთვის პრობლემურია. ასევე ნახევარზე მეტი ამბობს, რომ სამუშაოს სტაბილურობა (59%) და სამუშაო ადგილის უსაფრთხება (61%) მათთვის პრობლემური საკითხებია. მეოთხედზე მცირედით მეტი კი დასაქმების (27%), სამუშაოს სტაბილურობისა (26%) და უსაფრთხების საკითხებს (24%) ნაკლებად პრობლემურად მიიჩნევს (იხ. დანართი, ცხრილი 79_5, 79_6 და 79_7)[5].

გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (55%) ამბობს, რომ მათთვის საკმარისი რაოდენობის ფინანსების არქონა პრობლემურია. მეოთხედისთვის (26%) - ნაკლებად პრობლემური, ხოლო 20% აღნიშნულ საკითხს საშუალოდ პრობლემურად მიიჩნევს (იხ. დანართი, ცხრილი 79_1)[6]. გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (61%) ფინანსური დამოუკიდებლობის საკითხსაც პრობლემურად მიიჩნევს. დაახლოებით მეხუთედი (23%) ნაკლებად პრობლემურად, ხოლო 16%-ისთვის საშუალოდ პრობლემურია (იხ. დანართი, ცხრილი 79_2)[7].

[5] პასუხები 5 ქულიანი სკალიდან 3 ქულიან სკალაზე დაჯგუფდა. 1 და 2 ქულა დაჯგუფდა, როგორც - 1, 3 ქულა - 2, ხოლო 4 და 5 ქულა დაჯგუფდა, როგორც 3.

[6] პასუხები 5 ქულიანი სკალიდან 3 ქულიან სკალაზე დაჯგუფდა. 1 და 2 ქულა დაჯგუფდა, როგორც - 1, 3 ქულა - 2, ხოლო 4 და 5 ქულა დაჯგუფდა, როგორც 3.

[7] პასუხები 5 ქულიანი სკალიდან 3 ქულიან სკალაზე დაჯგუფდა.1 და 2 ქულა დაჯგუფდა, როგორც - 1, 3 ქულა - 2, ხოლო 4 და 5 ქულა დაჯგუფდა, როგორც 3.

კვლევისთვის საინტერესო იყო იმის გარკვევა, თუ ძირითადად რა ტიპის გასართობ აქტივობებში არიან ჩართული მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტები ყველაზე ხშირად დროს მეგობრებთან ერთად ატარებენ (70%), უსმენენ მუსიკას (44%), კითხულობენ წიგნს (40%), უყურებენ ტელევიზორს (30%) და/ან კომპიუტერულ თამაშებს თამაშობენ (20%). სხვა ტიპის აქტივობები კი კიდევ უფრო იშვიათად დასახელდა (იხ. დიაგრამა 5).

დიაგრამა 5



შენიშვნა: რესპონდენტებს 7 პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

კითხვაზე, თუ რამდენად კმაყოფილი ხართ მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების შესაძლებლობით, გამოკითხული ახალგაზრდების 41% პასუხობს, რომ უკმაყოფილო ან სრულიად უკმაყოფილოა. კმაყოფილებას (კმაყოფილი ან სრულიად კმაყოფილი) მხოლოდ ახალგაზრდების მეოთხედზე ნაკლები (23%) გამოთქვამს, დაახლოებით მესამედი (37%) კი ნეიტრალურ პოზიციას გამოხატავს და აცხადებს, რომ მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების მდგომარეობით არც კმაყოფილი და

არც უკმაყოფილოა (იხ. დანართი, ცხრილი 7). ზოგადად, გამოკითხული ახალგაზრდების 60% თვლის, რომ დასვნება მათთვის პრობლემურია, თითქმის მეოთხედი (23%) მეტ-ნაკლებად პრობლემურად მიიჩნევს, ხოლო 30% - ნაკლებად პრობლემურად. ასევე გამოკითხულთა 53% თვლის, რომ გართობა პრობლემური საკითხია, დაახლოებით მეოთხედი (24%) საკითხს მეტ-ნაკლებად პრობლემურად აფასებს, ასევე, თითქმის მეოთხედი (24%) - ნაკლებად პრობლემურად (იხ. დანართი, ცხრილი 79_15 და ცხრილი 79_16)[8].

რაც შეეხება მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობებს, კმაყოფილებას გამოკითხული ახალგაზრდების 31% გამოთქვამს, ხოლო გამოკითხული ახალგაზრდების 33% კი უკმაყოფილოა. ახალგაზრდების მესამედზე მეტი (35%) ნეიტრალურ დამოკიდებულებას გამოხატავს და ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებული კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობით არც კმაყოფილი და არც უკმაყოფილოა. (იხ. დანართი, ცხრილი 8).

კითხვაზე, თუ დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდნენ მათ მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად კინოთეატრის (52%) და ახალგაზრდობის კლუბების (42%) ფუნქციონირება სურთ. ასევე ხშირად დასახელდა ბანაკების (28%), სკვერების/ბაღების (26%) და ატრაქციონების პარკის (25%) არსებობის სურვილი. სხვა სახის სასურველი დამატებითი შესაძლებლობები კი შედარებით იშვიათად სახელდება. აღსანიშნავია, რომ ბანაკების ფუნქციონირება უფრო ხშირად 14-დან 18 წლამდე ახალგაზრდებისთვისაა სასურველი, ვიდრე 26-დან 30 წლამდე ადამიანებისთვის (იხ. დიაგრამა 6).

დიაგრამა 6

[8] პასუხები 5 ქულიანი სკალიდან 3 ქულიან სკალაზე გადაიკოდა. 1 და 2 ქულა დაჯგუფდა, როგორც - 1, 3 ქულა - 2, ხოლო 4 და 5 ქულა დაჯგუფდა, როგორც 3.

დამატებით რა შესაძლებლობების არსებობას ისურვებდით თქვენს მუნიციპალიტეტში გართობა-დასვენებისა და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის კუთხით? (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რესპონდენტებს 3 პასუხის ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

გამოკითხული ახალგაზრდების 41%-ის თქმით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ფიზიკური სივრცე არ არსებობს. მეხუთედზე მცირედით მეტი (21%) კი საპირისპიროს ამბობს. 38% კი აღნიშნავს, ამ საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია არ აქვს (იხ. დანართი, ცხრილი 10). მათგან ვინც ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში ასეთი სივრცე არსებობს, უმრავლესობას ერთხელ მაინც უსარგებლია აღნიშნული სივრცით (76%) და ყველაზე ხშირად მეგობრებთან შესახვედრად (41%) და პროექტების/ღონისძიებების დასამუშავებლად და დასაგეგმად გამოუყენებია (35%). იმ ახალგაზრდების 24%, რომელსაც სმენია აღნიშნული სივრცის შესახებ, მაგრამ არ უსარგებლია ასეთი ფიზიკური სივრცით, ყველაზე ხშირად არსარგებლობის მიზეზად ინფორმაციის არქონას ასახელებს (40%) (იხ. დანართი, ცხრილი 11, 12 და ცხრილი 13_1 – 13_7).

მოხალისეობა

გამოკითხული ახალგაზრდების მეოთხედზე მეტი (28%) აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში[9]. მხოლოდ 1% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მიუღია მოხალისეობრივ აქტივობებში საზღვარგარეთ, ასევე 1%-ის განცხადებით მიუღია მოხალისეობრივ საქმიანობაში მონაწილეობა საქართველოშიც და საზღვარგარეთაც, ხოლო უმრავლესობის - 70%-ის განცხადებით, არ მიუღია მოხალისეობრივ აქტივობებში

[9] მოხალისეობად ითვლება სასარგებლო საქმიანობა, რომელიც ხორციელდება სხვების დასახმარებლად, რომელიც არ არის მოტივირებული რაიმე ფინანსური ან მატერიალური სარგებლის მიღებით.

მონაწილეობა (იხ. დანართი, ცხრილი 59). აღსანიშნავია, რომ მდედრობითი სქესის ახალგაზრდები (31%) და მამრობითი სქესის ახალგაზრდები (29%) თითქმის თანაბრად არიან დაკავებული მოხალისეობრივი საქმიანობით.

დიაგრამა 7



შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

მათგან, ვინც ამბობს, რომ მიუღია გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (30%), 40% უარს აცხადებს დააკონკრეტოს, თუ რომელ აქტივობაში იყო ჩართული. ახალგაზრდების 14% ამბობს, რომ ჩართული იყო საქველმოქმედო ღონისძიებებში, 13% აცხადებს, რომ ჩართული იყო გარემოს დასუფთავების/გარემოსდაცვითი პროექტების მოხალისეობრივ საქმიანობაში, ხოლო 13% ჩართული იყო სხვადასხვა ტიპის ღონისძიების ჩატარებასა და მონაწილეობაში. ახალგაზრდების 5% აცხადებს, რომ მონაწილეობა მიიღო იყო კოვიდ-19 პანდემიასთან დაკავშირებულ აქტივობებში (იხ. დანართი, ცხრილი 60).

რაც შეეხება მოხალისეობის სიხშირეს, გამოკითხული ახალგაზრდების მესამედზე ნაკლები (30%) აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მოხალისეობრივი საქმიანობით დაკავებული იყო წელიწადში რამდენჯერმე, 33%-ის განცხადებით, ამ საქმიანობით დაკავებული იყო თვეში ერთხელ ან რამდენჯერმე, 14% - კვირაში ერთხელ (იხ. დანართი, ცხრილი 61).

მოხალისეობის მოტივად გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობამ (74%) სხვების დახმარების სურვილი დაასახელა, 40%-მა - თავისუფალი დროის დახარჯვა სასარგებლო საქმეებისთვის, 40%-მა - ახალი ადამიანების გაცნობა, 37%-მა - სიახლეების სწავლა, ასევე 37%-მა - ცხოვრებისეული გამოცდილების მიღება, 29%-მა - გარემოს დაცვა (იხ. დანართი, ცხრილი 62_1 - ცხრილი 62_7).

ის ახალგაზრდები, რომლებიც აცხადებენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (70%), ამის მიზეზად შემდეგ ფაქტორებს ასახელებენ - 20% აცხადებს, რომ არ აქვს ამისთვის დრო,

17% აცხადებს, რომ არ აქვს ინფორმაცია, როგორ ჩაერთოს მოხალისეობრივ საქმიანობაში, 9%-ს კონკრეტული მიზეზი არ აქვს, ხოლო 10% აცხადებს, რომ ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს. 5%-ის განცხადებით, მუნიციპალიტეტში მოხალისეობის შესაძლებლობა არ არის (იხ. დიაგრამა 8).

დიაგრამა 8



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

სპორტული აქტივობები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების მეოთხედზე მეტი (29%) აცხადებს, რომ სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობით ყოველ დღე არის დაკავებული, 33%-ის განცხადებით კი საერთოდ არ არის მსგავსი აქტივობით დაკავებული. მათგან, ვინც აცხადებს, რომ საერთოდ არ არის დაკავებული სპორტული ან ფიზიკური აქტივობით, უმრავლესობას (53%) წარმოადგენენ მდედრობითი სქესის ახალგაზრდები, ხოლო 46%-ს მამრობითი სქესის ახალგაზრდები (იხ. დანართი, ცხრილი 64).

გამოკითხული ახალგაზრდების 59%-ს აქვს სურვილი ჩაერთოს სპორტის/ფიზიკური აქტივობის რომელიმე სახეობაში, რომლითაც ამჟამად არ არის დაკავებული, მათ შორის ყველაზე მეტჯერ დაასახელეს კალათბურთი (14%) და ცურვა (7%) (იხ. დანართი, ცხრილი 67). იმ ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც საერთოდ არ არიან დაკავებული სპორტული ან ფიზიკური აქტივობით, ამის მიზეზად არასაკმარის დროს (34%), სურვილის ნაკლებობას (25%), ფინანსების ნაკლებობას (12%) და საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობას (10%) ასახელებენ (იხ. დიაგრამა 9).

დიაგრამა 9

დაასახელეთ მიზეზი, რატომ არ აქტიურობთ ფიზიკურად (ვარჯიში, სპორტი ან სხვა) (%)

შედეგები დათვლილია ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით



შენიშვნა: რესპონდენტებს რამდენიმე ვარიანტის დასახელება შეეძლოთ, შესაბამისად, პასუხები არ ჯამდება 100%-ად.

მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება

გამოკითხული ახალგაზრდების 79% აცხადებს რომ არ ეწევა სიგარეტს, 79%-ის განცხადებით არ მოიხმარს ალკოჰოლს, 96% ამბობს, რომ არ მოიხმარს მარიხუანას, ხოლო 78% აცხადებს, რომ არასოდეს უთამაშია აზარტული თამაშები. გამოკითხულთა 14% აცხადებს, რომ კვირაში ერთხელ მოიხმარს ალკოჰოლს (იხ. დანართი, ცხრილი 69, 70 და 71). მამრობითი სქესის ახალგაზრდების 24% აღნიშნავს, რომ მოიხმარს ალკოჰოლს კვირაში ერთხელ, ხოლო მდედრობითი სქესის ახალგაზრდების 5% აცხადებს იმავეს (იხ. დანართი, ცხრილი 70a).

გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (56%) აცხადებს, რომ მისი ოჯახის წევრების ნაწილი ან ყველა წევრი ეწევა სიგარეტს, ხოლო ასევე ნახევარზე მცირედით მეტი (52%) აცხადებს, რომ მისი ოჯახის წევრების ნაწილი ან ყველა წევრი მოიხმარს ალკოჰოლს (იხ. დანართი, ცხრილი 72_1 და ცხრილი 72_3).

რესპონდენტთა უმრავლესობა აცხადებს, რომ მეგობრების ნაწილი ან მათი ყველა მეგობარი ეწევა სიგარეტს (81%) და/ან მოიხმარს ალკოჰოლს (76%) (იხ. დანართი, ცხრილი 72_2 და ცხრილი 72_4).

ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობა

კვლევის ინტერესის საგანს წარმოადგენდა ახალგაზრდების ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სისტემაზე. გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე ნაკლები (41%) აცხადებს, რომ აქვს სამედიცინო დაზღვევა, მათ შორის 14-17 წლის ახალგაზრდების 37%, 18-25 წლის ახალგაზრდების 51% და 26-29 წლის ახალგაზრდების 31% აცხადებს იმავეს (იხ. დანართი, ცხრილი 74). შეკითხვაზე, თუ რამდენად პრობლემურია სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (63%) აცხადებს, რომ პრობლემურია, მათ შორის 55% პროცენტის აზრით, ძალიან პრობლემურია. გამოკითხული ახალგაზრდების მხოლოდ 22% ფიქრობს, რომ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა ნაკლებად პრობლემური (იხ. დანართი, ცხრილი 79_8). მიუხედავად ამისა, გამოკითხული ახალგაზრდების 76% ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს (იხ. დანართი, ცხრილი 75). ისინი, ვინც ამბობენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს, ამის მიზეზად 42% ასახელებს, რომ მსგავსი მომსახურება ძალიან ძვირია/არ აქვს საკმარისი თანხა, ხოლო 11% ამბობს, რომ არ ენდობა მათ, ასევე 11%-ის განცხადებით არ იცოდა ვისთვის მიემართა (იხ. დანართი, ცხრილი 76).

გამოკითხული ახალგაზრდების 86% აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს ფსიქოლოგს/ფსიქოთერაპევტს დახმარებისთვის. ისინი, ვინც ამბობს, რომ ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა გასული 12 თვის განმავლობაში, ამის მიზეზად 34% ასახელებს, რომ მსგავსი მომსახურება ძალიან ძვირია/არ აქვს საკმარისი თანხა, ასევე 34% კი ამბობს, არ იცოდა ვისთვის მიემართა, 12%-ის განცხადებით, არ მიიჩნია საჭიროდ, ხოლო 10% ამბობს, რომ არ სურდა ამის შესახებ ვინმეს გაეგო (იხ. დანართი, ცხრილი 77 და ცხრილი 78).

მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები

გამოკითხული ახალგაზრდების თითქმის ნახევარი (45%) აცხადებს, რომ არ სურს მუნიციპალიტეტიდან წასვლა, 28%-ის განცხადებით, სურს მუნიციპალიტეტიდან წასვლა, ხოლო 26%-ს უჭირს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა (იხ. დიაგრამა 10). 14-17 წლის ახალგაზრდების 34% აცხადებს, რომ სურს მუნიციპალიტეტიდან წასვლა, ხოლო 18-25 წლის ახალგაზრდების 29% აცხადებს იმავეს. მუნიციპალიტეტიდან წასვლის ძირითადად მიზეზად ახალგაზრდები განათლების მიღებისა (20%) და დასაქმების (28%) უკეთეს შესაძლებლობას ასახელებენ. ასევე, 25% საკუთარი თავის რეალიზების უკეთეს შესაძლებლობას ასახელებს (იხ. დანართი, ცხრილი 81).

დიაგრამა 10



შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (63%) აცხადებს, რომ არ სურს ქვეყნიდან წასვლა (იხ. დიაგრამა 11). ისინი, ვინც ამბობს, რომ სურთ ქვეყნიდან წასვლა, ამის მიზეზად განათლების მიღების უკეთესი შესაძლებლობას (22%), ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას (22%) და დასაქმების უკეთეს შესაძლებლობას (21%) ასახელებენ (იხ. დანართი, ცხრილი 83_1 - ცხრილი 83_9). ამასთანავე, ახალგაზრდების თითქმის ნახევარი (48%) ოჯახის წევრების საზღვარგარეთ მიგრაციას ნაკლებად პრობლემურ საკითხად ასახელებს, ახალგაზრდების 41%-ს კი ეს საკითხი პრობლემად მიაჩნია (იხ. დანართი, ცხრილი 79_20).

დიაგრამა 11



შენიშვნა: რადგანაც გრაფიკზე მოცემული პროცენტული მაჩვენებლები დამრგვალებული ციფრია, შესაძლებელია, ყველგან 100%-ად არ დაჯამდეს.

დასკვნა

ამრიგად, გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მეტი ამბობს, რომ ქვეყანაში მიმდინარე

პოლიტიკური პროცესებით არ არის ან საერთოდ არ არის დაინტერესებული, თუმცა მათი ძირითადი ნაწილი თვლის, რომ ძალიან აქტიური, აქტიური ან მეტ-ნაკლებად აქტიური მოქალაქეა - უმრავლესობას მონაწილეობა აქვს მიღებული სოციალურ ქსელში გამართულ აქტივობებსა და ფორუმებში. ასევე, თითქმის მეხუთედი აცხადებს, რომ მოისმინა მერის მომზადებული ანგარიში გაწეული საქმიანობის შესახებ, გამოხატა აზრი მედიის (ტელევიზია, რადიო, ჟურნალ-გაზეთი) საშუალებით, მიიღო მონაწილეობა დასახლების საერთო კრებაში ან ხელი მოაწერა პეტიციას. გარდა ამისა, იმ ახალგაზრდების უმრავლესობა, რომელიც არჩევნების დრო სრულწლოვანი იყო, ამბობს, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო.

ზოგადად, გამოკითხული ახალგაზრდების 42% ფიქრობს, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პოლიტიკაში ახალგაზრდების ინტერესები გათვალისწინებული არ არის, ხოლო 28%-მა არ იცის, რამდენად არის გათვალიწინებული. გამოკითხული ახალგაზრდები ინფორმაციას მუნიციპალიტეტში არსებული პროგრამებისა და სერვისების შესახებ ძირითადად სოციალური ქსელების და ტელევიზიის საშუალებით იღებენ. მათი უმრავლესობა ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა არ მიუღია მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მონაწილეობის არმიღების მთავარი მიზეზი არაინფორმირებულობაა - თითქმის ყოველი მესამე გამოკითხული ახალგაზრდა ამბობს, რომ მსგავსი აქტივობის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა.

რაც შეეხება ახალგაზრდულ პროგრამებში ახალგაზრდების ჩართულობას, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დაახლოებით ნახევარს ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში და მათი უმრავლესობა დადებითად აფასებს მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილი აქტივობების ხარისხს. ხოლო გამოკითხული ახალგაზრდების დაახლოებით მეოთხედს თავად მიუმართვს მუნიციპალიტეტისთვის რაიმე პროექტის/ინიციატივის განხორციელების მიზნით.

რაც შეეხება ახალგაზრდების განათლების საკითხებს, ოზურგეთში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია მიღებული განათლების ხარისხით. უმრავლესობა მომავალი 12-24 თვის მანძილზე სწავლის გაგრძელებას გეგმავს, თუმცა რესპონდენტთა ნახევარზე მეტი პროფესიულ და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას პრობლემურ საკითხებად მიიჩნევს.

გამოკითხული ახალგაზრდების 43% ამბობს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში რაიმე ტრენინგ კურსში მონაწილეობა მიუღიათ. კითხვაზე, ზოგადად, ყოფილა თუ არა შემთხვევა, როცა ვერ დაესწრნენ ტრენინგს, მესამედზე მეტი ამბობს, რომ მომხდარა მსგავსი შემთხვევა, ყველაზე ხშირ ხელშემშლელ ფაქტორად დროის უქონლობა, ინფორმაციის არქონა და საჭირო თანხის არქონა დაასახელეს.

გარდა აღნიშნული საკითხებისა, კვლევა ასევე სწავლობდა ახალგაზრდების წვდომას საინფორმაციო ტექნოლოგიებზე. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა ამბობს, რომ წვდომა კომპიუტერთან და ინტერნეტთან ყოველდღიურად აქვს. ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი თვლის, რომ ინტერნეტი, რომელზეც წვდომა აქვთ ხარისხიანია. ზოგადად, მუნიციპალიტეტში

გამოკითხული ახალგაზრდები ყველაზე ხშირად საინფორმაციო ტექნოლოგიებს სასწავლო მიზნით, სხვადასხვა სახის ინფორმაციის გასაცნობად, გასართობად და ახლობლებთან საკონტაქტოდ იყენებენ.

კვლევა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების დასაქმების საკითხებსაც სწავლობდა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 14-17 წლის ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი დასაქმებული არაა და ამ ეტაპზე სამუშაოს არ ეძებს. რაც შეეხება გამოკითხულთა შორის სრულწლოვან ახალგაზრდებს, 18-დან 26 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში თითქმის ყოველი მესამე ახალგაზრდა ამბობს, რომ დასაქმებულია, ხოლო 26-დან 30 წლამდე ახალგაზრდების ნახევარზე მეტი ამბობს იმავეს.

გამოკითხულთაგან დასაქმებული სრულწლოვანი ახალგაზრდების ნახევარზე მეტი კერძო ორგანიზაციაშია დასაქმებული, დაახლოებით მეოთხედი კი - სახელმწიფო სამსახურში. მათი უმრავლესობა სრულ განაკვეთზეა დასაქმებული და კვირაში, საშუალოდ, 40 საათს ან ნაკლებს მუშაობს, ხოლო 46% - საშუალოდ, 41სთ-დან 100 საათამდე მუშაობს. დასაქმებული სრულწლოვანი ახალგაზრდების უმრავლესობა კმაყოფილი ან ძალიან კმაყოფილია სამსახურით.

რაც შეეხება სრულწლოვან ახალგაზრდებს, რომლებიც არ არიან დასაქმებული (61%), უმუშევრობის ძირითად მიზეზებად დასაქმების მიმართ ინტერესის არარსებობას, დასაქმების სერვისების არარსებობას, ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის არქონასა და პროფესიული უნარ-ჩვევების ნაკლებობას ასახელებენ. აღსანიშნავია, რომ 26-დან 30 წლამდე ახალგაზრდები უმუშევრობის მიზეზად დასაქმების სერვისების არარსებობასა და ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის არ ქონას უფრო ხშირად ასახელებენ, ვიდრე 18-25 წლის ახალგაზრდები.

ზოგადად, გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მეტი ამბობს, რომ დასაქმების საკითხი მათთვის პრობლემურია, ასევე ნახევარზე მეტი ამბობს, რომ სამუშაოს სტაბილურობა და სამუშაო ადგილის უსაფრთოხება მათთვის პრობლემური საკითხებია. გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მცირედით მეტი ფინანსური დამოუკიდებლობის საკითხს პრობლემურად მიიჩნევს.

კვლევა ასევე სწავლობდა იმას, თუ ძირითადად რა ტიპის გასართობ აქტივობებში არიან ჩართული მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდები. კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხული ახალგაზრდები ყველაზე ხშირად დროს მეგობრებთან ერთად ატარებენ, კითხულობენ წიგნს, უსმენენ მუსიკას, უყურებენ ტელევიზორს და/ან კომპიუტერულ თამაშებს თამაშობენ.

გამოკითხული ახალგაზრდების 41% ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების საშუალებებით უკმაყოფილო ან სრულიად უკმაყოფილოა. რაც შეეხება მუნიციპალიტეტში კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობით კმაყოფილებას, გამოკითხულთა მხოლოდ 31% გამოთქვამს კმაყოფილებას. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად კინოთეატრის და ახალგაზრდობის კლუბებისა ფუნქციონირება სურთ. ასევე მეოთხედზე მეტმა დასახელდა ატრაქციონების პარკის, ბანაკებისა და სკვერების/ბაღების არსებობის სურვილი.

აღსანიშნავია, რომ ბანაკების ფუნქციონირება უფრო ხშირად 14-დან 18 წლამდე ახალგაზრდებისთვისაა სასურველი, ვიდრე 26-დან 30 წლამდე ადამიანებისთვის.

კვლევა ახალგაზრდების მოხალისეობრივ აქტივობებში ჩართულობასაც ეხებოდა. გამოკითხული ახალგაზრდების მეოთხედზე მეტი აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში. აღსანიშნავია, რომ მდედრობითი სქესის ახალგაზრდები (31%) და მამრობითი სქესის ახალგაზრდები (29%) თითქმის თანაბრად არიან დაკავებული მოხალისეობრივი საქმიანობით. მოხალისეობის მოტივად ახალგაზრდების უმრავლესობამ სხვების დახმარების სურვილი დაასახელა. ასევე, დასახელდა თავისუფალი დროის დახარჯვა სასარგებლო საქმეებისთვის, ახალი ადამიანების გაცნობა, სიახლეების სწავლა, ცხოვრებისეული გამოცდილების მიღება და გარემოს დაცვა.

ის ახალგაზრდები, რომლებიც აცხადებენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (70%), ყველაზე ხშირად ამის მიზეზად დროის უქონლობას და მოხალისეობრივ საქმიანობაში ჩართვის შესახებ ინფორმაციის არქონას ასახელებენ.

კვლევის ინტერესის საგანს ახალგაზრდების ფიზიკურ აქტივობაში ჩართულობაც წარმოადგენდა. გამოკითხული ახალგაზრდების მეოთხედზე მეტი აცხადებს, რომ სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობით ყოველ დღე არის დაკავებული, 33%-ის განცხადებით კი საერთოდ არ არის მსგავსი აქტივობით დაკავებული. მათგან, ვინც აცხადებს, რომ საერთოდ არ არის დაკავებული სპორტული ან ფიზიკური აქტივობით, უმრავლესობას მდედრობითი სქესის ახალგაზრდები წარმოადგენენ. ზოგადად, გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობას სურვილი აქვს ჩაერთოს სპორტის/ფიზიკური აქტივობის რომელიმე სახეობაში, რომლითაც ამჟამად არ არის დაკავებული, მათ შორის ყველაზე მეტჯერ დაასახელეს კალათბურთი და ცურვა. იმ ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც საერთოდ არ არიან დაკავებული სპორტული ან ფიზიკური აქტივობით, ამის მიზეზად, ყველაზე ხშირად, არასაკმარის დროს და სურვილის ნაკლებობას ასახელებენ.

რაც შეეხება მავნე ნივთიერებებისადმი ახალგაზრდების დამოკიდებულებას, მათი უმრავლესობა აცხადებს, რომ არ ეწევა სიგარეტს, არ მოიხმარს ალკოჰოლს, არ მოიხმარს მარიხუანას და არასოდეს უთამაშია აზარტული თამაშები. რესპონდენტების 14% აცხადებს, რომ კვირაში ერთხელ მოიხმარს ალკოჰოლს. მამრობითი სქესის ახალგაზრდების 24% აღნიშნავს, რომ ალკოჰოლს კვირაში ერთხელ მოიხმარს, ხოლო მდედრობითი სქესის ახალგაზრდების 5% აცხადებს იმავეს.

კვლევის ინტერესის საგანს წარმოადგენდა ახალგაზრდების ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სისტემაზე. გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე ნაკლები (41%) აცხადებს, რომ აქვს სამედიცინო დაზღვევა. შეკითხვაზე, თუ რამდენად პრობლემურია სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა, გამოკითხულა უმრავლესობა ამბობს, რომ პრობლემურია. გამოკითხულთა უმრავლესობა აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს, ხოლო ვისაც დასჭირდა, მაგრამ ვერ მიმართეს, ამის მთავარ მიზეზად მომსახურების სიძვირეს/საკმარისი თანხის არქონას ასახელებს.

გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს ფსიქოლოგს/ფსიქოთერაპევტს დახმარებისთვის, ხოლო ვისაც დასჭირდა, მაგრამ ვერ მიმართეს, ყველაზე ხშირად მიზეზად ისევ, მომსახურების სიძვირეს/საკმარისი თანხის არ ქონასა და არაინფორმირებულობას ასახელებენ.

რაც შეეხება მიგრაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე ნაკლები (45%) აცხადებს, რომ არ სურს მუნიციპალიტეტიდან წასვლა, 28%-ის განცხადებით, სურს მუნიციპალიტეტიდან წასვლა, ხოლო 26%-ს უჭირს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. მათ უმრავლესობას, ვინც ამბობს, რომ მუნიციპალიტეტიდან წასვლა სურს, ძირითადად 14-17 წლის ახალგაზრდები წარმოადგენენ. რესპონდენტები მუნიციპალიტეტიდან წასვლის ძირითადად მიზეზად განათლების მიღებისა და დასაქმების უკეთეს შესაძლებლობას ასახელებენ. გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა აცხადებს, რომ ქვეყნიდან წასვლა არ სურს. ისინი, ვინც ამბობს, რომ სურთ ქვეყნიდან წასვლა, ამის მიზეზად განათლების მიღების უკეთეს შესაძლებლობას, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და დასაქმების უკეთეს შესაძლებლობას ასახელებენ.

დანართი

1. ასაკი (%)		
14-17 წელი	სიხშირე	125
	%	41.3%
18-25 წელი	სიხშირე	110
	%	36.4%
26-29 წელი	სიხშირე	67
	%	22.1%
სულ	სიხშირე	302
	%	100.0%

2. სქესი (%)					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ მსურს მითითება	სიხშირე	1	4	1	6
	%	0,8%	3,6%	1,5%	2,0%
მდედრობითი	სიხშირე	82	57	25	164
	%	65,6%	51,8%	37,3%	54,3%
მამრობითი	სიხშირე	42	49	41	132
	%	33,6%	44,5%	61,2%	43,7%
სულ	სიხშირე	125	110	67	302
	%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%

3. დასახლების ტიპი (%)					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
სოფელი	სიხშირე	40	41	39	120
	%	32,0%	37,3%	58,2%	39,7%
დაბა	სიხშირე	15	21	7	43
	%	12,0%	19,1%	10,4%	14,2%
ქალაქი	სიხშირე	70	48	21	139
	%	56,0%	43,6%	31,3%	46,0%
სულ	სიხშირე	125	110	67	302
	%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%

4. მუნიციპალიტეტი					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
ოზურგეთი	სიხშირე	125	110	67	302
	%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%

5_1. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვხვდები მეგობრებს					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	
არ დასახელდა	სიხშირე	36	27	28	91
	%	28,8%	24,5%	41,8%	30,1%
დასახელდა	სიხშირე	89	83	39	211
	%	71,2%	75,5%	58,2%	69,9%
	სიხშირე	125	110	67	302
	%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%

5_2. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვთამაშობ სამაგიდო თამაშებს					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	108	96	65	269
	%	86,4%	87,3%	97,0%	89,1%
დასახელდა	სიხშირე	17	14	2	33
	%	13,6%	12,7%	3,0%	10,9%
სულ	სიხშირე	125	110	67	302
	%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%

5_3. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვთამაშობ კომპიუტერულ თამაშებს					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	
არ დასახელდა	სიხშირე	92	91	58	241
	%	73,6%	82,7%	86,6%	79,8%
დასახელდა	სიხშირე	33	19	9	61
	%	26,4%	17,3%	13,4%	20,2%
სულ	სიხშირე	125	110	67	302
	%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%

5_4. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვმოგზაურობ ქვეყნის შიგნით					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	119	90	54	263
	%	95,2%	81,8%	80,6%	87,1%
დასახელდა	სიხშირე	6	20	13	39
	%	4,8%	18,2%	19,4%	12,9%
სულ	სიხშირე	125	110	67	302

	%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%

5_5. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - ვმოგზაურობ საზღვარგარეთ					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	121	108	64	293
	%	96,8%	98,2%	95,5%	97,0%
დასახელდა	სიხშირე	4	2	3	9
	%	3,2%	1,8%	4,5%	3,0%
სულ	სიხშირე	125	110	67	302
	%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%

5_6. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - დავდივარ ლაშქრობებზე					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	114	96	58	268
	%	91,2%	87,3%	86,6%	88,7%
დასახელდა	სიხშირე	11	14	9	34
	%	8,8%	12,7%	13,4%	11,3%
სულ	სიხშირე	125	110	67	302
	%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%

5_7. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - დავდივარ კონცერტებზე					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	116	95	66	277
	%	92,8%	86,4%	98,5%	91,7%
დასახელდა	სიხშირე	9	15	1	25
	%	7,2%	13,6%	1,5%	8,3%
სულ	სიხშირე	125	110	67	302
	%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%

5_8. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - დავდივარ თეატრში					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	122	104	65	291
	%	97,6%	94,5%	97,0%	96,4%
დასახელდა	სიხშირე	3	6	2	11

	%	2,4%	5,5%	3,0%	3,6%
სულ	სიხშირე	125	110	67	302
	%	100,0%	100,0%	100,0%	100,0%

5_9. თუ არ გავითვალისწინებთ COVID-19-ის პერიოდს, გთხოვთ, მონიშნოთ, რომელ ქვემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს ახორციელებთ ყველაზე ხშირად? (მონიშნეთ მაქსიმუმ 7 პასუხი) - დავდივარ კინოთეატრში					
		14-17 წელი	18-25 წელი	26-29 წელი	ახალგაზრდები სულ (14-29 წელი)
არ დასახელდა	სიხშირე	124	102	67	293
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები ინფორმაციას მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ძირითადად სოციალური ქსელების საშუალებით იღებენ (69%), ინფორმაციის მიღების წყაროდ დასახელდა ასევე ტელევიზია (43%), ახლობლები/მეგობრები/ნათესავები (30%) და ადგილობრივი ხელისუფლება (15%). ასევე, რესპონდენტთა 3% აცხადებს, რომ საერთოდ ვერ იღებს ინფორმაციას.
- რესპონდენტების უმრავლესობა (71%) აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა არ მიუღია. მათგან 40%-ს წარმოადგენს 14-17 წლის ახალგაზრდები, 35%-ს შეადგენს 18-25 წლის ახალგაზრდები, ხოლო მეოთხედს (25%) - 26-29 წლის ახალგაზრდები.
- გამოკითხული ახალგაზრდების 33% ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესზე არ ჰქონდა ინფორმაცია, ხოლო 21%-ის განცხადებით, არავის მიუწვევია მსგავს აქტივობაში ჩასართავად, 18%-ის თქმით, არ იყო მისთვის საინტერესო ღონისძიება, ასევე 18% ამბობს, რომ არ ჰქონდა დრო.
- იმ შემთხვევაში, როცა ახალგაზრდები ჩაერთვნენ ბოლო 12 თვის განმავლობაში მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში (30%), 41%-ის განცხადებით, მიაწოდეს ინფორმაცია, 33% აცხადებს, რომ ჰკითხეს აზრი, 21% ამბობს, რომ აქტიურად იყო ჩართული, 8%-ის განცხადებით კი, მათმა ჩართულობამ გავლენა მოახდინა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, 18% ამბობს, რომ მხოლოდ ფორმალურად იყო ჩართული.
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მეტს (54%) ერთხელ მაინც მიუღია მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ პროგრამებში. ნახევარზე ნაკლებს (46%) კი არ მიუღია მსგავს პროგრამებში მონაწილეობა, უფრო კონკრეტულად კი - 28%-ს არ მიუღია მონაწილეობა, თუმცა სმენია პროგრამის შესახებ, ხოლო 18%-ს არ მიუღია მონაწილეობა და არც სმენია მსგავსი პროგრამის შესახებ.
- ახალგაზრდული პროგრამების შესახებ საუბრისას, კვლევაში მონაწილე 14-25 წლის ახალგაზრდები აღნიშნავენ ინტელექტუალურ, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს. რესპონდენტთა ნაწილის განცხადებით, ისინი თავადაც ჩართული იყვნენ აღნიშნულ აქტივობებში. რაც შეეხება 26-29 წლის რესპონდენტებს, მათ დიდ ნაწილს არ აქვს ინფორმაცია ახალგაზრდული პროექტების შესახებ.
- ახალგაზრდულ პროგრამებზე საუბრისას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტს გარკვეული ახალგაზრდული პროგრამები აქვს, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდებს შეუძლიათ დაკავდნენ სპორტული აქტივობით, ასევე ბავშვებისთვის ეწყობა კულტურულ-შემეცნებითი ტურები. ასევე, მისი განცხადებით, მუნიციპალიტეტში არსებობს პროექტი „იყავი თანამმართველი“, რომლის ფარგლებშიც 10 პროექტი დაფინანსდა. მისი

განცხადებით, აქტივობებში ძირითადად, სკოლის ასაკის ახალგაზრდები არიან ჩართული. სკოლის ასაკის შემდგომ ახალგაზრდების ჩართულობის მაჩვენებელი კი ძალიან დაბალია, რაც ძირითადად, გამოწვეულია მიგრაციით.

- მერიის წარმომადგენლის განცხადებით, ზოგადად, მუნიციპალიტეტში არ ხდება ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლა და/ან ინფორმაციის სისტემური შეგროვება, რასაც პროგრამების დაგეგმვის ეტაპებზე გამოიყენებდნენ.
- რაც შეეხება არსამთავრობო სექტორის მიერ შეთავაზებული აქტივობების შეფასებას თავად არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგნელების მხრიდან, რესპონდენტების მიხედვით, ისინი ახალგაზრდებს ძირითადად კულტურულ-საგანმანთლებლო აქტივობებს სთავაზობენ. ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელის აზრით, წარმატებული პროექტია „მონაწილეობრივი ბიუჯეტი“, რომელიც ოზურგეთში დაინერგა და რომლის ფარგლებშიც მოსახლეობა ხმის მიცემით უჭერს მხარს ამა თუ იმ პროექტს. მისი განცხადებით, გურიაში მოსახლეობის ჩართულობის მაჩვენებელი 35%-ზე მაღალი იყო. გარდა ამისა, იგეგმება პროექტი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებისთვის გამოიყოფა გრანტები, რომ ის სფერო, რასაც უნივერსიტეტში ეუფლებიან, რეგიონში განავითარონ.

ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევები

- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები გამოწვევებზე საუბრისას აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტში არ არის ან მცირე რაოდენობითაა კულტურული წრეები, კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისთვის საჭირო სივრცეები, ახალგაზრდების თავშეყრის ადგილები, მაგალითად, კინო, სკვერები. ფოკუს ჯგუფის მონაწილეების აზრით, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო აქტივობებისთვის სივრცეების შექმნა, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარებას. ასევე, პრობლემურად მიიჩნიეს ახალგაზრდების ინფორმირებულობის დონე სხვადასხვა აქტივობის შესახებ, ზოგადი ინტერესის და მოტივაციის არარსებობა, როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე ახალგაზრდების მხრიდან. რამდენიმე ახალგაზრდამ მუნიციპალიტეტში ტრანსპორტის პრობლემაზეც გამახვილა ყურადღება.
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის თქმით, ახალგაზრდების ძირითადი პრობლემა ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობა, ახალგაზრდობის ჩართულობა სხვადასხვა აქტივობაში და მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხებია. რესპონდენტის განცხადებით, ახალგაზრდების პრობლემები არ განსხვავდება სქესის და ასაკის მიხედვით.
- არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ახალგაზრდების წინაშე მდგარ გამოწვევად ასევე მიგრაციის საკითხს მიიჩნევენ. მათი თქმით, მიგრაცია პირდაპირ არის დაკავშირებულია მუნიციპალიტეტში დასაქმების პრობლემასთან. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტში არ არსებობს გასართობი სივრცეები. ასევე, პრობლემას წარმოადგენს ტრანსპორტირების საკითხი.

საგანმანათლებლო და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან წვდომა

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (60%) მიღებული განათლების ხარისხით კმაყოფილია.
- გამოკითხული ახალგაზრდების 43% აცხადებს, რომ ბოლო 12 თვის განმავლობაში რაიმე ტრენინგ კურსში მონაწილეობა მიუღიათ.
- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (65%) ამბობს, რომ მომავალი 12-24 თვის მანძილზე სწავლის გაგრძელებას გეგმავს.
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა ამბობს, რომ წვდომა კომპიუტერთან (79%) და ინტერნეტთან (90%) ყოველდღიურად აქვს.
- მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდები ყველაზე ხშირად საინფორმაციო ტექნოლოგიებს სხვადასხვა სახის ინფორმაციის გასაცნობად (63%), სასწავლო მიზნით (56%), ასევე ხშირად გასართობად (53%) და ახლობლებთან საკონტაქტოდ (53%) იყენებენ.
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები საუბრობენ განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემაზე. 14-17 წლის ასაკობრივი კატეგორიის ერთ-ერთი მონაწილე აცხადებს, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდას არ აქვს შესაბამისი განათლების ხარისხი. მონაწილეები საუბრობენ ასევე იმაზეც, რომ ოზურგეთში არსებობდა უნივერსიტეტის ფილიალი, რომელიც დაიხურა და ამჟამად რეგიონში საუნივერსიტეტო განათლება არ არის ხელმისაწვდომი.

დასაქმება და მასთან დაკავშირებული საკითხები

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული სრულწლოვანი ახალგაზრდების მესამედზე მეტი (39%) ამბობს, რომ დასაქმებულია.
- დასაქმებული სრულწლოვანი ახალგაზრდების 42% კერძო ორგანიზაციაშია დასაქმებული, დაახლოებით მეოთხედი (27%) - სახელმწიფო სამსახურში, ახალგაზრდების 18% კი თვითდასაქმებულია.
- 18-დან 26 წლამდე ახალგაზრდების დაახლოებით მესამედი (30%) ამბობს, რომ დასაქმებულია, ნახევარზე მეტი (55%) ეძებს სამსახურს, ხოლო 15% არაა დასაქმებული და დასაქმებას არ ცდილობს.
- 26-დან 30 წლამდე ახალგაზრდების ნახევარზე მეტი (54%) ამბობს, რომ დასაქმებულია, 42% სამსახურს ეძებს, ხოლო 4% არ არის დასაქმებული, თუმცა სამსახურს არ ეძებს.
- დასაქმებული სრულწლოვანი ახალგაზრდების უმრავლესობა (60%) ამბობს, რომ კმაყოფილია ან ძალიან კმაყოფილია სამსახურით.
- გამოკითხული სრულწლოვანი ახალგაზრდები, რომლებიც არ არიან დასაქმებული (61%), უმუშევრობის ძირითად მიზეზებად დასაქმების მიმართ ინტერესის არარსებობას (29%), დასაქმების სერვისების არარსებობას (25%), ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის არ ქონას (16%) და პროფესიული უნარ-ჩვევების ნაკლებობას (11%) ასახელებენ, ხოლო 13%-ს კონკრეტული მიზეზი არ აქვს.

- 26-დან 30 წლამდე გამოკითხული ახალგაზრდები უმუშევრობის მიზეზად დასაქმების სერვისების არარსებობასა და ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის არქონას უფრო ხშირად ასახელებენ, ვიდრე 18-25 წლის ახალგაზრდები.
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ნაწილი, არასამთავრობო სექტორისა და მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები დასაქმებას ახალგაზრდების წინაშე მდგარ გამოწვევად მიიჩნევენ.

გართობისა და დასვენების შესაძლებლობები

- გამოკითხული ახალგაზრდების 41% ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არსებული გართობა-დასვენების შესაძლებლობებით უკმაყოფილოა.
- კვლევის თანახმად, გამოკითხული ახალგაზრდები ყველაზე ხშირად დროს მეგობრებთან ერთად ატარებენ (70%), უსმენენ მუსიკას (44%), კითხულობენ წიგნს (40%), უყურებენ ტელევიზორს (30%) და/ან კომპიუტერულ თამაშებს თამაშობენ (20%).
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხულ ახალგაზრდებს ყველაზე ხშირად კინოთეატრის (52%) და ახალგაზრდობის კლუბების (42%) ფუნქციონირება სურთ. ასევე ხშირად დასახელდა ბანაკების (28%), სკვერების/ბაღების (26%) და ატრაქციონების პარკის (25%) არსებობის სურვილი.
- გამოკითხული ახალგაზრდების 41%-ის თქმით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებისთვის ფიზიკური სივრცე არ არსებობს.
- თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტში არ არსებობს ისეთი დაწესებულება, სივრცე, სადაც ახალგაზრდები შეიკრიბებიან და თავისუფალ დროს ნაყოფიერად გაატარებენ. ძირითადი ნაწილი თავისუფალ დროს ინტერნეტში ინფორმაციის მოძიებას, ფილმების ყურებასა და მეგობრებთან ერთად ყოფნას უთმობს. ასევე, აღნიშნავენ, რომ რაიონში არ აქვთ კინოთეატრი.

მოხალისეობა

- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობის (70%) განცხადებით, გასული 12 თვის განმავლობაში მოხალისეობრივ აქტივობებში მონაწილეობა არ მიუღია. ახალგაზრდების მეოთხედზე მეტი (28%) აცხადებს, რომ საქართველოში განხორციელებულ მოხალისეობრივ აქტივობებში მიუღია მონაწილეობა, ხოლო 1% ამბობს, მონაწილეობა საზღვარგარეთ მოხალისეობრივ აქტივობებში აქვს მონაწილეობა მიღებული, ასევე 1%-ის განცხადებით, მოხალისეობრივ საქმიანობაში მონაწილეობა საქართველოშიც და საზღვარგარეთაც მიუღია.
- გამოკითხული მდედრობითი სქესის ახალგაზრდები (31%) და მამრობითი სქესის ახალგაზრდები (29%) თითქმის თანაბრად არიან დაკავებული მოხალისეობრივი საქმიანობით.
- მათგან, ვინც ამბობს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში მონაწილეობა მიუღია მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (30%), 40% უარს აცხადებს დააკონკრეტოს, თუ რომელ აქტივობაში იყო ჩართული.

ახალგაზრდების 14% ამბობს, რომ ჩართული იყო საქველმოქმედო ღონისძიებებში, 13% აცხადებს, რომ ჩართული იყო გარემოს დასუფთავების/გარემოსდაცვითი პროექტების მოხალისეობრივ საქმიანობაში, ხოლო 13% - სხვადასხვა ტიპის ღონისძიების ჩატარებასა და მონაწილეობაში. ახალგაზრდების 5% აცხადებს, რომ მონაწილეობა მიიღო კოვიდ-19-ის პანდემიასთან დაკავშირებულ აქტივობებში.

- მოხალისეობის მოტივად გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობამ (74%) სხვების დახმარების სურვილი დაასახელა, 40%-მა - თავისუფალი დროის დახარჯვა სასარგებლო საქმეებისთვის, 40%-მა - ახალი ადამიანების გაცნობა, 37%-მა - სიახლეების სწავლა, ასევე 37%-მა - ცხოვრებისეული გამოცდილების მიღება, 29%-მა - გარემოს დაცვა.
- ის ახალგაზრდები, რომლებიც აცხადებენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ მიუღია მონაწილეობა მოხალისეობრივ აქტივობებში საქართველოში ან/და საზღვარგარეთ (70%), ამის მიზეზად შემდეგ ფაქტორებს ასახელებენ - 20% აცხადებს, რომ არ აქვს ამისთვის დრო, 17% აცხადებს, რომ არ აქვს ინფორმაცია, როგორ ჩაერთოს მოხალისეობრივ საქმიანობაში, 9%-ს კონკრეტული მიზეზი არ აქვს, ხოლო 10% აცხადებს, რომ ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს. 5%-ის განცხადებით, მუნიციპალიტეტში მოხალისეობის შესაძლებლობა არ არის.

სპორტული აქტივობები

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოკითხული ახალგაზრდების მეოთხედზე მეტი (29%) აცხადებს, რომ სპორტით ან სხვა ფიზიკური აქტივობით ყოველ დღე არის დაკავებული, 33%-ის განცხადებით კი საერთოდ არ არის მსგავსი აქტივობით დაკავებული.
- გამოკითხული ახალგაზრდების 59%-ს აქვს სურვილი ჩაერთოს სპორტის/ფიზიკური აქტივობის რომელიმე სახეობაში, რომლითაც ამჟამად არ არის დაკავებული, მათ შორის ყველაზე მეტჯერ კალათბურთი (14%) და ცურვა (7%) დაასახელეს.
- იმ ახალგაზრდების უმრავლესობა, რომლებიც საერთოდ არ არიან დაკავებული სპორტული ან ფიზიკური აქტივობით, ამის მიზეზად არასაკმარის დროს (34%), სურვილის ნაკლებობას (25%), ფინანსების ნაკლებობას (12%) და საჭირო ინფრასტრუქტურის არარსებობას (10%) ასახელებენ.

მავნე ნივთიერებებზე დამოკიდებულება

- გამოკითხული ახალგაზრდების 79% აცხადებს რომ არ ეწევა სიგარეტს, 79%-ის განცხადებით არ მოიხმარს ალკოჰოლს, 96% ამბობს, რომ არ მოიხმარს მარიხუანას, ხოლო 78% აცხადებს, რომ არასოდეს უთამაშია აზარტული თამაშები.
- გამოკითხულთა 14% აცხადებს, რომ კვირაში ერთხელ მოიხმარს ალკოჰოლს. მამრობითი სქესის წარმომადგენლების 24% აღნიშნავს, რომ მოიხმარს ალკოჰოლს კვირაში ერთხელ, ხოლო მდედრობითი სქესის წარმომადგენლების 5% აცხადებს იმავეს.

- რესპონდენტთა უმრავლესობა აცხადებს, რომ მეგობრების ნაწილი ან მათი ყველა მეგობარი ეწევა სიგარეტს (81%) და/ან მოიხმარს ალკოჰოლს (76%).

ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობა

- გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე ნაკლები (41%) აცხადებს, რომ აქვს სამედიცინო დაზღვევა.
- გამოკითხული ახალგაზრდების უმრავლესობა (63%) აცხადებს, რომ სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა პრობლემურია.
- ისინი, ვინც ამბობენ, რომ გასული 12 თვის განმავლობაში ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს სამედიცინო დაწესებულებას/ექიმს, ამის მიზეზად 42% ასახელებს, რომ მსგავსი მომსახურება ძალიან ძვირია/არ აქვს საკმარისი თანხა, ხოლო 11% ამბობს, რომ არ ენდობა მათ, ასევე 11%-ის განცხადებით არ იცოდა ვისთვის მიემართა.
- გამოკითხული ახალგაზრდების 86% აცხადებს, რომ გასული 12 თვის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, როდესაც დასჭირდათ და არ/ვერ მიმართეს ფსიქოლოგს/ფსიქოთერაპევტს დახმარებისთვის.
- ისინი, ვინც ამბობს, რომ ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა გასული 12 თვის განმავლობაში, ამის მიზეზად 34% ასახელებს, რომ მსგავსი მომსახურება ძალიან ძვირია/არ აქვს საკმარისი თანხა, ასევე 34% კი ამბობს, არ იცოდა ვისთვის მიემართა, 12%-ის განცხადებით, არ მიიჩნია საჭიროდ, ხოლო 10% ამბობს, რომ არ სურდა ამის შესახებ ვინმეს გაეგო.

მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხები

- გამოკითხული ახალგაზრდების 45% აცხადებს, რომ არ სურს მუნიციპალიტეტიდან წასვლა, 28%-ის განცხადებით, სურს მუნიციპალიტეტიდან წასვლა, ხოლო 26%-ს უჭირს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა.
- ისინი, ვინც აცხადებენ, რომ სურთ მუნიციპალიტეტიდან წასვლა, ყველაზე ხშირად 14-17 წლის ახალგაზრდები არიან (34%).
- მუნიციპალიტეტიდან წასვლის ძირითადად მიზეზად ახალგაზრდები განათლების მიღებისა (20%) და დასაქმების (28%) უკეთეს შესაძლებლობას ასახელებენ. ასევე, 25% საკუთარი თავის რეალიზების უკეთეს შესაძლებლობას ასახელებს.
- ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ საუბრისას თვისებრივი კვლევის მონაწილეებმა - როგორც ახალგაზრდებმა, ისე საჯარო და არასაჯარო სექტორის წარმომადგენლებმა მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები დაასახელეს. მათი განცხადებით, ახალგაზრდების მიგრაცია დაკავშირებულია მუნიციპალიტეტში დასაქმების პრობლემასთან.

შესავალი

ახალგაზრდობა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანური კაპიტალის განვითარებაში, რაც, თავის მხრივ, ქვეყნის სოციო-ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების საფუძველია. ახალგაზრდები ხშირად არიან ცვლილების, განვითარებისა და ინოვაციების ინიციატორები. საქართველოში ახალგაზრდების აქტივობისა და დასაქმების მაჩვენებლების ანალიზი აჩვენებს, რომ მათი შესაძლებლობები სრულად არ არის გამოყენებული. მაგალითად, ე.წ. NEET მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს უმუშევარ და არააქტიურ ახალგაზრდებს, 2018 წელს 15-24 წლის ასაკის ახალგაზრდებში 27% იყო. ეს მაჩვენებელი ასაკთან ერთად იზრდება და 15-29 წლის ასაკში თითქმის 30% -ს აღწევს (ETF, 2019). NEET მაჩვენებელი ქალებს შორის და ქალაქის ტიპის დასახლებებში უფრო მაღალია. NEET სოციალური ჩართულობის პრობლემასაც ასახავს. სხვა კვლევებიც ადასტურებს, რომ კვლავ მწვავედ დგას ახალგაზრდების განათლებასთან და დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობასთან დაკავშირებული საკითხები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დემოგრაფიული ცვლილებების ფონზე მცირდება ახალგაზრდების წილი მოსახლეობაში და უფრო მნიშვნელოვანი ხდება მათი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება.

მნიშვნელოვანია ახალგაზრდების პოლიტიკის უფრო ფართო კონტექსტში გააზრება როგორც ეროვნულ, ასევე, ადგილობრივ დონეზე და დაინტერესებული მხარეების, მთავრობის, სოციალური პარტნიორების, მუნიციპალიტეტების, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართულობა. ახალგაზრდული პოლიტიკის წარმატებით დაგეგმვისა და განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია თითოეულ მუნიციპალიტეტში კვლევაზე დაფუძნებული, რეალურ საჭიროებებზე ორიენტირებული სამოქმედო გეგმების შემუშავება. ადგილობრივი თვითმმართველობები ნაკლებად იკვლევენ და შესაბამისად, ნაკლებად არიან ინფორმირებულნი ახალგაზრდების რეალური საჭიროებების შესახებ (Friedrich Ebert Stiftung, 2016). კვლევები და არსებული მტკიცებულებები ნაკლებად გამოიყენება ახალგაზრდების საჭიროებების დასადგენად, ანდა ახალგაზრდული პოლიტიკის შესამუშავებლად, რაც საჭირო რესურსების ნაკლებობასაც (მეთოდოლოგიური, ადამიანური) უკავშირდება.

სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით ახალგაზრდობის სააგენტოს ინიციატივით „მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკის“ პროექტის ფარგლებში საქართველოს 11 მუნიციპალიტეტში ჩატარდა ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა. კვლევის შედეგებისა და უკვე არსებული მეორადი მონაცემების გათვალისწინებით შემუშავდება მუნიციპალური ახალგაზრდული პოლიტიკა, ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები, განხორციელდება პროგრამები და ინიციატივები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდების კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

წინამდებარე კვლევის მიზანია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების, ინტერესებისა და სხვადასხვა საკითხისადმი დამოკიდებულებების

შესწავლა. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 14-29 წლის ასაკის 302 ახალგაზრდა. საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, „ახალგაზრდა“ განისაზღვრა, როგორც 14-29 წლის ასაკის პირი. წინამდებარე ანგარიშში, ტერმინები „ახალგაზრდა“ და „ახალგაზრდა პირი“ ერთი მნიშვნელობით გამოიყენება და აღნიშნავს 14-29 წლის ასაკის პირს. კვლევის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრა „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტის“ (განკარგულება №533, 2014) საფუძველზე, რომელიც ზოგად ჩარჩოს ქმნის ახალგაზრდული პოლიტიკისთვის. კვლევის ფოკუსს წარმოადგენს:

- ახალგაზრდების წინაშე მდგარი პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირება;
- ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლა;
- ახალგაზრდებისთვის არსებული შესაძლებლობების გამვლენა.

კვლევა შეეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა: დასაქმება, განათლება, მონაწილეობა, ცხოვრების სტილი, ჯანმრთელობა და სხვა მომიჯნავე საკითხები.

შესაძლოა კვლევა ჩაითვალოს უფრო ღრმა ანალიზისა და პოლიტიკური დისკუსიის საწყის ეტაპად. კვლევის დასრულების შემდეგ გადაიხედება და გადამუშავდება მეთოდოლოგია, რომლის გამოყენება სამომავლოდაც შესაძლებელი იქნება. განგრძობითი კვლევები მუნიციპალიტეტს შესაძლებლობას მისცემს გააანალიზონ ახალგაზრდების გამოწვევებისა და პრობლემების განვითარების დინამიკა და მიღებული შედეგები პროგრამების დაგეგმვისას გამოიყენონ.

მეთოდოლოგია

ახალგაზრდობის კვლევაში გამოყენებულია: რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები.

<u>რაოდენობრივი კვლევის</u> მიზანი ახალგაზრდების საჭიროებების, ინტერესებისა და დამოკიდებულებების შესწავლა იყო. გამოყენებულია გამოკითხვის მეთოდი. არსებული სიტუაციის - კოვიდ-19-ის პანდემიის გათვალისწინებით გამოყენებულ იქნა ონლაინ გამოკითხვა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამოიკითხა 302 რესპონდენტი.

<u>თვისებრივი კვლევის</u> ფარგლებში ფოკუს ჯგუფისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს ტექნიკებია გამოყენებული. ფოკუს ჯგუფების მიზანი ახალგაზრდების პერსპექტივის, მათ წინაშე მდგარი გამოწვევებისა და მათი გადაჭრის გზების სიღრმისეული შესწავლა იყო. კვლევის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ჩატარდა 3 ფოკუს ჯგუფი სამ ასაკობრივ კატეგორიაში (14-17, 18-24, 25-29 წლის ახალგაზრდები), თითოეულ ფოკუს ჯგუფში მონაწილეობა 6-დან 10-მდე ახალგაზრდამ მიიღო.

ჩაღრმავებული ინტერვიუები ძირითად ინფორმანტებთან ჩატარდა, რამაც კვლევის საკითხებთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებების სიღრმისეულად შესწავლის საშუალება მოგვცა. კვლევის ფარგლებში 3 ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა.

სამიზნე ჯგუფები

კვლევის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ:

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 14-29 წლის ახალგაზრდები;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდულ პროგრამებზე მომუშავე საჯარო მოხელეები;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგნლები.

კვლევის ინსტრუმენტები

ონლაინ გამოკითხვა ჩატარდა წინასწარ შემუშავებული კითხვარების საშუალებით; ონლაინ გამოკითხვის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოკითხვის ხანგრძლივობა დაახლოებით 30-40 წუთი იყო.

სიღრმისეული ინტერვიუ და ჯგუფური დისკუსია წარიმართა წინასწარ მომზადებული გზამკვლევის მეშვეობით. კვლევის ინსტრუმენტები მომზადდა An EU-funded project under the Skills 4 Jobs -დახმარებით ახალგაზრდობის სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით. სიღრმისეული ინტერვიუს ხანგრძლივობამ საშუალოდ 30-40 წუთი, ფოკუსური დისკუსიის ხანგრძლივობამ კი, საშუალოდ, 1.5 საათი შეადგინა.

რესპონდენტთა შერჩევა

რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებთან, რომელთა ასაკი 14-29 წელია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრების საერთო რაოდენობაა 8829. კვლევის საერთო შერჩევად განისაზღვრა 259 რესპონდენტი, თუმცა გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 302-მა ახალგაზრდამ.

კოვიდ-19-ის პანდემიის გამო შექმნილი მდგომაროებიდან გამომდინარე შერჩევის სახედ განისაზღვრა ხელმისაწვდომი შერჩევა, რომლის ფარგლებში გათვალიწინებული იყო პოპულაციის მნიშვნელოვანი მახასიათებლები (სტრატები) - ასაკობრივი ჯგუფები და სქესი.

თავდაპირველად გამოყოფილი იყო ოთხი ასაკობრივი ჯგუფი: 14-17 წელი, 18-22 წელი, 23-25 წელი და 26-29 წელი, თუმცა არსებული არსებული გარემოებების გათვალისწინებით გამოიყო 3 კგუფი:

- 14-17 წლის ახალგაზრდები - ეს პერიოდი ემთხვევა საბაზო ან საშუალო საფეხურის დასრულებას;
- 18-24 წლის ახალგაზრდები - ეს პერიოდი ემთხვევა ახალგაზრდების გადასვლას პროფესიული განათლებიდან და/ან უმაღლესი განათლებიდან სამუშაო ბაზარზე და პირველ დასაქმებას;

- 25-29 წლის წლის ახალგაზრდები - ეს პერიოდი პირველი დასაქმების შემდეგ პერიოდად ითვლება.

<u>მონაცემთა შეგროვება და ანალიზი</u>

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ონლაინ გამოკითხვა 11 ივნისიდან 17 ივლისამდე პერიოდში მიმდინარეობდა, ხოლო ფოკუს ჯგუფები და ჩაღრმავებული ინტერვიუები - ივლისსა და აგვისტოში.

აღსანიშნავია, რომ რაოდენობრივ მონაცემთა შეგროვება განხორციელდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, ახალგაზრდობის სააგენტოსა და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით.

მონაცემთა ანალიზის დაწყებამდე, მიღებული რაოდენობრივ მონაცემთა ბაზა გაიწმინდა, ხოლო მონაცემები SPSS 26-ის გამოყენებით გაანალიზდა. თვისებრივი მონაცამები კი კონტენტ ანალიზის საშუალებით გაანალიზდა.

<u>კვლევის შეზღუდვები</u>

ვინაიდან რაოდენობრივ მონაცემთა შესაგროვებლად ონლაინ გამოკითხვის მეთოდი გადაწყდა, ყველა ის შეზღუდვა, რაც ონლაინ გამოკითხვას თან ახლავს, ვრცელდება წინამდებარე კვლევაზეც. ეს შეზღუდვებია:

- ვისაც ინტერნეტთან წვდომა არ აქვს, კვლევაში მონაწილეობას ვერ იღებს;
- მაღალია ნაკლული მონაცემების მაჩვენებელი;
- გამოკითხვა დროში გაჭიმულია;
- მკვლევარი ვერ აკონტროლებს კითხვარის შევსების გარემოებებს.

გარდა ამისა, ახალგზარდობის სააგენტოსთან ერთად, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები რესპონდენტთა შერჩევის პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართული, რაც კვლევის შეზღუდვად უნდა ჩაითვალოს, რადგან კვლევა რესპონდენტთა მიერ ახალგაზრდული მიმართულებით მუნიციპალიტეტის საქმიანობის შეფასებას მოიცავს.

თვისებრივი კვლევის შედეგები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების შესასწავლად კვლევაში მონაწილეობა თავად ახალგაზრდებმა, მუნიციპალიტეტის მერიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს, რომლებიც ახალგაზრდების განვითარების საკითხებზე მუშაობენ. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელების გამოცდილება ამ სფეროში დაახლოებით 2 წელს ითვლის, ხოლო სახელმწიფო სტრუქტურის წარმომადგენელი დაახლოებით 3 წელია რაც კონკრეტულ პოზიციაზე[1] მუშაობს. რაც შეეხება ფოკუს ჯგუფებში მონაწილე ახალგაზრდებს, მათი ასაკი 14-დან 30 წლამდე მერყეობს და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლები არიან.

ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევები

ფოკუს ჯგუფის წევრების საუბრიდან გამოიკვეთა მუნიციპალიტეტში არსებული რამდენიმე პრობლემა, რომელიც ახალგაზრდებს აწუხებს, კერძოდ:

- **კულტურული წრეებისა და ღონისძიებების ორგანიზებისთვის საჭირო სივრცეების სიმწირე/არარსებობა;**
- **თავშეყრის ადგილების (კინო, სკვერები) არარსებობა;**
- **ახალგაზრდების ინფორმირებულობის დაბალი დონე სხვადასხვა აქტივობისა და შესაძლებლობის შესახებ;**
- **ახალგაზრდებში მოტივაციის ნაკლებობა სხვადასხვა საკითხზე პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით;**
- **დასაქმების პრობლემა;**
- **ახალგაზრდების მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები;**
- **ტრანსპორტირების პრობლემა;**
- **ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემა;**
- **სპორტული მოედნებისა და დარბაზების არარსებობა, რიგ შემთხვევებში კი მათი სარეაბილიტაციო მდგომარეობა; სპორტული წრეების სიმწირე/არარსებობა;**
- **ველო ბილიკების არარსებობა;**
- **ახალგაზრდებში მარიხუანას მოხმარება.**

მონაწილეები თანხმდებიან, რომ მუნიციპალიტეტში არ არსებობს ისეთი სივრცეები, სადაც ახალგაზრდები შეიკრიბებიან და თავისუფალ დროს ნაყოფიერად და საინტერესოდ გაატარებენ. ძირითადი ნაწილი თავისუფალ დროს მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან ერთად ყოფნას, სპორტულ აქტივობებს და მუსიკის მოსმენას უთმობს. რამდენიმე მონაწილემ აღნიშნა, რომ თავისუფალ დროს ფოტოგრაფიასა და ხელნაკეთი ნივთების შექმნას უთმობს. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ გურიაში აქვთ შესაძლებლობა ლაშქრობებითა და ბუნებაში გასეირნებით დაკავდნენ, რასაც ხშირად მიმართავენ კიდეც.

მონაწილეების ძირითადი ნაწილი, გარდა 14-17 წლის ასაკობრივი კატეგორიის მონაწილეებისა, აქტიურადაა ჩართული საოჯახო საქმეებში. 18-25 წლის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ პანდემიის პერიოდმა კიდევ უფრო შეუწყო ხელი მათ ოჯახურ საქმეებში

[1] რესპონდენტის იდენტიფიცირების თავიდან ასაცილებლად არ სახელდება პოზიცია.

ჩართულობას. ამ ასაკობრივი კატეგორიის მამაკაცი მონაწილეები ამბობენ, რომ აქტიურად არიან ჩართული მიწის დამუშავებაში. რამდენიმე მონაწილემ განაცხადა, რომ სამომავლოდ სათბურის გაკეთებას და მცირე ბიზნესის წამოწყებასაც აპირებს. 26-29 წლის მონაწილეების განცხადებით, ისინი აქტიურად არიან ჩართული საოჯახო საქმიანობაში, რადგანაც მათი უმრავლესობა მარტო ცხოვრობს. რაც შეეხება 14-17 წლის მონაწილეებს, მათი დიდი ნაწილი ნაკლებად არის დაკავებული საოჯახო საქმიანობით. მხოლოდ გოგონების ნაწილმა განაცხადა, რომ დედებს ეხმარებიან სამზარეულოსა და დედმამიშვილების მოვლაში.

მონაწილეები საუბრობენ მუნიციპალიტეტში არსებულ სხვადასხვა პრობლემაზე. ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ერთ-ერთ პრობლემად ტრანსპორტირების საკითხი დაასახელეს. მათი თქმით, ძირითადი აქტივობები ქალაქში ეწყობა, ხოლო სოფელში მცხოვრებ ახალგაზრდას ამ აქტივობებში ჩართვის ნაკლები შესაძლებლობა აქვს ტრანსპორტის გამო. გარდა ამისა, 14-17 წლის მონაწილეები საუბრობენ სხვადასხვა აქტივობისა და ღონისძიების შესახებ ინფორმაციის გავრცელების პრობლემაზე. მათი განცხადებით, ტარდება ღონისძიებები, თუმცა ამის შესახებ ახალგაზრდები არ არიან ინფორმირებული და მხოლოდ გარკვეული ჯგუფი ახერხებს იყოს ჩართული.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეების აზრით, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო აქტივობებისთვის სივრცეების შექმნა, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარებას. აღნიშნავენ, რომ რაიონში არ აქვთ კინოთეატრი და გართობის სხვა საშუალებები. ერთ-ერთი მონაწილე საუბრობს ახალგაზრდების მიერ მარიხუანას მოხმარებაზე და ამას პრობლემად ასახელებს.

ახალგაზრდები საუბრობენ განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემაზე. 14-17 წლის ასაკობრივი კატეგორიის ერთ-ერთი მონაწილე აცხადებს, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდას არ აქვს შესაბამისი განათლების ხარისხი. მონაწილეები საუბრობენ ასევე იმაზეც, რომ ოზურგეთში არსებობდა უნივერსიტეტის ფილიალი, რომელიც დაიხურა და ამჟამად რეგიონში საუნივერსიტეტო განათლება არ არის ხელმისაწვდომი. ერთ-ერთი მონაწილე აცხადებს, რომ მუნიციპალიტეტში არსებობს პროფესიული სასწავლებელი, რასაც დადებითად აფასებს.

მონაწილეები საუბრობენ დასაქმების პრობლემაზე. მათი თქმით, ბევრი ახალგაზრდა სხვა დიდ ქალაქში გადადის საცხოვრებლად, რადგან მუნიციპალიტეტში ვერ ახერხებენ საკუთარი თავის რეალიზებას და დასაქმებას. შესაბამისად, ახალგაზრდების მიგარაციაც ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა.

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითად ნაწილს მიაჩნია, რომ მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები არ განსხვავდება ახალგაზრდის სქესისა და ასაკის მიხედვით. მათი აზრით, დასაქმების, ტრანსპორტის, თავისუფალი სივრცეების პრობლემა არა მარტო ახალგაზრდების, არამედ ყველასთვის საერთო პრობლემას წარმოადგენს.

> *„ბევრ აქტივობაში რაც დასახელდა ზუსტად ის არის, რომ ტრანსპორტის გაუმართაობაა. აქტივობები როცა იგეგმება, მაშინაც ვერ ვახერხებთ სოფლებიდან*

ჩასვლას, თუ მანქანა არ გყავს საკუთარი.“ (ქალი 15 წლის, ქალაქი ოზურგეთი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)

"თუნდაც ჩემს თანატოლებში კითხვა რომ დასვათ, დაბრუნდებით თუ არა გურიაში და თქვენი პროფესიით იმუშავებ, ყველას პასუხი იქნება ის, რომ აქ რა უნდა გავაკეთო. ანუ ვერ ხედავენ ჩემი თანატოლები იმას, რომ გურიაში რომ დაბრუნდებიან, რა უნდა გააკეთონ, თავიანთი პროფესიით ვერ ვითარდებიან." (ქალი, 22 წლის, ქალაქრი ოზურგეთი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)

„ფაქტობრივად, ოზურგეთში გასართობი სივრცე არ არსებობს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ იყოს კინო. გავიგეთ, მეგობრები გვიყვარს და მათთან ერთად კარგია დროის გატარება, მაგრამ ადგილები არაა, რომ წახვიდე. ყველაფერი ზეპირად ვიცით... განათლებას რაც შეეხება, გვქონდა უმაღლესის სასწავლებელი მაგრამ დაიხურა. ეს ჩემთვის ძალიან დიდი გულისტკივილია, რადგან იყო და ახლა აღარ არსებობს.“ (კაცი, 26 წლის, ქალაქი ოზურგეთი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ისაუბრეს, თუ როგორ შეიძლება მათ მიერ დასახელებული პრობლემების გადაჭრა. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა, თუმცა ყველა თანხმდება, რომ თავად მუნიციპალიტეტის მხარდაჭერის გარეშე პრობლემები ვერ მოგვარდება. არასრულწლოვანი მონაწილეები თანხმდებიან, რომ ახალგაზრდებს ხმის მიწვდენა მუნიციპალიტეტამდე შეუძლიათ განცხადების დაწერით. ისინი ფიქრობენ, რომ პრობლემების გადაჭრის მთავარი გზა არის მეტი აქტიურობა და კომუნიკაცია ახალგაზრდებსა და მუნიციპალიტეტს შორის. ერთ-ერთი მონაწილე ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში შეუტანია განცხადება, რასაც არ ჰქონია რეაგირება, შესაბამისად ფიქრობს, რომ აუცილებელია ისეთი პლატფორმის შექმნა, სადაც ისინი გააჟღერებენ თავიანთ საჭიროებებს და პრობლემებს.

18-25 წლის მონაწილეების ძირითადი ნაწილი მიიჩნევს, რომ აუცილებელია კომუნიკაციის არსებობა ახალგაზრდებსა და მუნიციპალიტეტს შორის. ისინი ფიქრობენ, რომ აუცილებელია ახალგაზრდების იდეების მოსმენა, დაფინანსება და სხვადასხვა პროექტების განხორციელება, რაც კონკრეტულად ახალგაზრდებზე იქნება მორგებული. ერთ-ერთი მონაწილე ამბობს, რომ კარგი იქნებოდა ბიზნეს იდეების კონკურსის დაგეგმვა და განხორციელება. ასევე, ერთი მონაწილე შენიშნავს, რომ პერსპექტიულია შიდა ტურიზმის განვითარებისთვის გურიის წარმოჩენა, თუმცა ეს დიდ თანხებთან არის დაკავშირებული.

"მე ვფიქრობ, რომ მეტი კომუნიკაცია, მეტი ჩართულობაა საჭირო. არ უნდა იყოს რაიმე ბარიერი. ნებისმიერ საკითხზე უნდა ვიყოთ გამჭვირვალე. ახალგაზრდები უფრო ჩართულები უნდა იყვნენ და მუნიციპალიტეტს მოთხოვოს მეტი საქმე გაკეთებული და მეტი გადადგმული ნაბიჯი ახალგაზრდებისთვის". (კაცი, 25 წლის, ქალაქი ოზურგეთი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)

„მუნიციპალიტეტმა ახალგაზრდებზე გათვლილი პროექტები უნდა გააკეთოს ძალიან ბევრი. მოიპოვოს ადგილობრივი და საერთაშორისო დაფინანსებები, რომ შექმნას სამუშაო ადგილები უფრო მეტად. მერე დარჩება ახალგაზრდობა საკუთარ ქალაქში და რატომ წავა სხვა ქვეყანაში.“ (კაცი, 26 წლის, ქალაქი ოზურგეთი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)

ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ საუბარი, როგორც მუნიციპალიტეტის მერიის, ისე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებსაც სთხოვეს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის თქმით, ახალგაზრდების ძირითადი პრობლემა **ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობა, ახალგაზრდობის ჩართულობა სხვადასხვა აქტივობაში** და **მიგრაციასთან** დაკავშირებული საკითხებია. რესპონდენტის განცხადებით, ახალგაზრდების პრობლემები არ განსხვავდება სქესის და ასაკის მიხედვით, თუმცა გამოყოფს დაბა ნასაკირალს, სადაც, მისი განცხადებით, რეპატრირებული მესხები ცხოვრობენ და ამბობს, რომ აღნიშნული დასახლება ჩაკეტილი თემია, თუმცა მათთან მიმდინარეობს მუშაობა. რესპონდენტი ამბობს, რომ დაბა ნასაკირალში განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს გოგონების ნაადრევი ქორწინება.

„რომ ვეკითხებოდი რა გინდათ, ფიზიკურად არ გვაქვს სივრცე, ახალგაზრდული სივრცე. ეს იყო ძალიან გამოკვეთილად, ანუ სადაც შეიკრიბებიან, აზრებს გაცვლიან. ჩვენ მუნიციპალიტეტში ვცდილობთ, რომ ყველას მოვერგოთ, მაგრამ უფრო ეფექტური იქნება, თუ უშუალოდ ახალგაზრდები იქნებიან ჩართული დაგეგმვის პროცესში, განხორციელების პროცესში, უფრო მეტი სტიმული ექნებათ ამ ახალგაზრდებს და სხვანაირი პასუხისმგებლობა ექნებათ, თვითონ იქნებიან უშუალოდ ამ პროცესის მონაწილე თავიდან ბოლომდე.“ (სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)

„სოფლებში თითქმის ახალგაზრდები აღარ არიან იმიტომ, რომ ფიზიკურად არც სამუშაო ადგილები აქვთ, არც არაფერი. თუნდაც ნასაკირალი რომ გითხარით, იქ 17-18 წლის ბავშვები უკვე გადადიან თურქეთში სამუშაოდ. ეგ ძალიან დიდი პრობლემა გვაქვს მიგრაციის.“ (სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ახალგაზრდების წინაშე გამოწვევად ასევე **მიგრაციის** საკითხს მიიჩნევენ. მათი თქმით, მიგრაცია პირდაპირ არის დაკავშირებული მუნიციპალიტეტში **დასაქმების** პრობლემასთან. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტში არ არსებობს **გასართობი სივრცეები**. ასევე, პრობლემას წარმოადგენს **ტრანსპორტირების** საკითხი. მათი განცხადებით, საღამოს ექვსი საათის შემდეგ ტრანსპორტი არ მოძრაობს, რაც სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვას უშლის ხელს. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები თანხმდებიან, რომ აღნიშნული პრობლემები არ განსხვავდება ასაკის, სქესის ან სხვა მახასიათებლის მიხედვით.

„გურია არის ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი რეგიონი, ძალიან მაღალია მიგრაციის პროცენტი, თითქმის ახალგაზრდობა არ არის, ძალიან ცოტაა.

ახალგაზრდობას ვგულისხმობ 21-დან 35 წლამდე. ცოტა არის ძალიან აქტიური ახალგაზრდები იმიტომ, რომ ან საზღვარგარეთ არიან სამუშაოდ წასულები, ან ვინც სწავლობდა საქართველოში, აღარ ბრუნდება რეგიონში. სამწუხაროდ, ასეთი რეალობა გვაქვს.“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)

„კიდევ ერთი ძალიან დიდი პრობლემა რაც არის, მუნიციპალური ტრანსპორტის არყოლაა. 6 საათის შემდეგ პრაქტიკულად კვდება ქალაქი. დღის განმავლობაში სწავლობენ და 3-4 საათზე რომ ჩამოიყვანო და ღონისძიემა დაგეგმო, უკვე 6 საათის მერე ველარ უშვებ. შენი ხარჯებით უნდა წაიყვანო, რაც ძალიან მცირე გვაქვს“ (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)

ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული პროგრამები/აქტივობები და ინფორმაციის გავრცელების მექანიზმები

ახალგაზრდული პროგრამების შესახებ საუბრისას, კვლევაში მონაწილე 14 წლიდან 25 წლამდე ახალგაზრდები აღნიშნავენ ინტელექტუალურ, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს. რესპონდენტთა ნაწილის განცხადებით, ისინი თავადაც ჩართული იყვნენ აღნიშნულ აქტივობებში. 14-17 წლის რესპოდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ყოველწლიურად ერთი და იგივე აქტივობები მოსაბეზრებელია და სიახლე სჭირდებათ. რაც შეეხება 26-29 წლის რესპონდენტებს, მათ დიდ ნაწილს არ აქვს ინფორმაცია ახალგაზრდული პროექტების შესახებ.

რესპონდენტების განცხადებით, მთავარ პრობლემას წარმოადგენს სხვადასხვა აქტივობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების დაბალი დონე. ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ მსგავსი ტიპის პროექტებზე წვდომა აქვთ მხოლოდ გარკვეული ჯგუფის ახალგაზრდებს, რაც დიდ პრობლემას წარმოადგენს. შესაბამისად, ერთი და იგივე ახალგაზრდების ჯგუფის ჩართულობა ყველა ღონისძიებაში წარმოადგენს პრობლემას.

"პირადად მე ვთვლი, რომ ეს აქტივობები კარგია, მაგრამ ყოველწლიურად ერთი და იგივე აქტივობა უკვე ძალიან მოსაბეზრებელია.“ (ქალი, 17 წლის, ქალაქი ოზურგეთი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)

„მე, მაგალითად, სანამ ევროპულში შევიდოდი, მუნიციპალიტეტის მიერ დაორგანიზებულ აქტივობებს ვერ ვიგებდი ან იმ საღამოს ვიგებდი, ინფორმაცია არ მქონდა. და კიდევ ის არის, რომ ახალგაზრდების მარტო რაღაც ჯგუფისთვის იქმნება თუ ტარდება აქტივობები.“ (ქალი 15 წლის, ქალაქი ოზურგეთი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)

მონაწილეების ნაწილმა სურვილი გამოთქვა, რომ მუნიციპალიტეტმა მათთვის საგანმანათლებლო, სპორტული და გასართობი პროგრამები დაგეგმოს და განახორციელოს. ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ გურიას აქვს რესურსი ჩატარდეს სხვადასხვა მუსიკალური ფესტივალი, რაც უცხოელ ტურისტებში გაზრდის დაინტერესებას ამ მხარის მიმართ. 14-17 წლის მონაწილეების ძირითადი ნაწილი ფიქრობს,

რომ საინტერესო იქნება საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება, როგორიც არის ინფორმაციული პროგრამების და ვორქშოფების ჩატარება, სადაც მომავალი პროფესიის შესახებ მეტ ინფორმაციას გაიგებენ.

26-29 წლის რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ პროექტების დაგეგმვისას ახალგაზრდების ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია. მათი აზრით, უნდა მოეწყოს ფართომასშტაბიანი შეხვედრები და მოხდეს იდეების, მოსაზრებების გაცვლა. ერთ-ერთი მონაწილის განცხადებით, სასურველია ამ ყველაფერს ერთგვარი სათათბიროს, საბჭოს სახე მიეცეს. ერთ-ერთი მონაწილე თვლის, რომ ახალგაზრდებს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში სხვადასხვა შეხედულებები, დამოკიდებულებები, შესაძლებლობები და საჭიროებები აქვთ, შესაბამისად თითოეული მათგანის აზრი მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია.

> *„მე პირადად ყველა აქტივობაში ჩავერთვებოდი, მაგალითად, სამომავლო პროფესიასთან დაკავშირებული ვორქშოფები.“ (ქალი, 17 წლის, ქალაქი ოზურგეთი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)*

> *„ალბათ უნდა მოხდეს საკმაოდ ფართომასშტაბიანი შეხვედრები ახალგაზრდებთან, უნდა დაფიქსირონ თავიანთი მოსაზრება ამა თუ იმ საკითხზე, ამა თუ იმ განსახორციელებენ პროექტზე.“ (კაცი, 25 წლის, ქალაქი ოზურგეთი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)*

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, ჯგუფის ყველა მონაწილისთვის ცნობილია, რომ მათ მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციები. აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე 14-17 წლის მონაწილეების თითქმის უმრავლესობა ჩართული არის არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციის აქტივობებში. ამ ასაკობრივი კატეგორიის თითქმის ყველა მონაწილეს სმენია „ევრო კლუბის“ და „ლიდერთა სახლის“ შესახებ და თავადაც მიუღია მონაწილეობა ამ ორგანიზაციების მიერ განხორციელებულ აქტივობებში. რაც შეეხება 26-29 წლის ასაკის მონაწილეებს, დიდ ნაწილს აქვს ინფორმაცია ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციების შესახებ, თუმცა უშუალო მონაწილეობა მათ მიერ ორგანიზებულ პროექტებში არ მიუღიათ. მათი განცხადებით, არასამთავრობო ორგანიზაციები უფრო დაბალი ასაკის ახალგაზრდებთან მუშაობენ.

> *"მსმენია და ვყოფილვარ კიდეც. აბსოლუტურად სხვა გამოცდილება იყო ჩემთვის. კვირაში ერთხელ ახალგაზრდების გარკვეული ჯგუფი ვიკრიბებოდით, გვაყვდა 2 ტრენერი და განვიხილავდით სხვადასხვა საკითხს, თუნდაც პრობლემებს. გასვლითი პროგრამები გვქონდა, იყო დებატებიც, მაგრამ მე არ მიმიღია მაშინ მონაწილეობა. იყო ტრენინგები სხვადასხვა თემაზე.“ (კაცი, 14 წლის, ქალაქი ოზურგეთი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)*

> *„ბავშვის, მოზარდების სეგმენტზე, რომ მუშაობენ.... მათ ჰქონდათ არა ადგილობრივი, არამედ უცხოური დონორების პროექტები და გაცვლითი პროგრამები.“ (კაცი, 26 წლის, ქალაქი ოზურგეთი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)*

მონაწილეები დადებითად აფასებენ არასამთავრობო სექტორის მუშაობას და თანხმდებიან, რომ ახალგაზრდულ ორგანიზაციებს დიდი როლი აკისრიათ ახალგაზრდების ჩართულობის გააქტიურების პროცესებში. ერთ-ერთი მონაწილის აზრით, ახალგაზრდულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ შესაძლოა მოახდინოს ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება და ისეთი აქტივობების/პროექტების შეთავაზება, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს პასუხისმგებლიან საზოგადოებად ჩამოყალიბებაში. ჯგუფი თანხმდება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების როლი ახალგაზრდებისთვის ძალიან დიდია. მათი თქმით, ეს არის გარემო, სადაც შეუძლიათ მათი ინტერესები გამოამჟღავნონ და მეტი ინფორმაცია გაიგონ. რაც შეეხება ახალგაზრდებისთვის საინტერესო პროექტებს, არასრულწლოვანი მონაწილეების აზრით, კარგი იქნება, მეტი ყურადღება მიაქციონ არაფორმალურ განათებას. ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ დიდი სიამოვნებით დაესწრებოდა ცნობილი ადამიანების ლექციებს.

რაც შეეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელის მოსაზრებებს ახალგაზრდებისთვის შეთავაზებული აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ, რესპონდენტი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტს გარკვეული ახალგაზრდული პროგრამები აქვს და იხსენებს ოლიმპიურ სახლს, სადაც ახალგაზრდებს შეუძლიათ სხვადასხვა სპორტული აქტივობით უფასოდ დაკავდნენ. მისი განცხადებით, მუნიციპალიტეტის მიერ ეწყობა ბანაკები, ასევე, ბავშვებისთვის ეწყობა კულტურულ-შემეცნებითი ტურები. გარდა ამისა, რესპონდენტის თქმით, მუნიციპალიტეტი სხვადასხვა ტიპის სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებსაც აწყობს, ხოლო ბიუჯეტი გადანაწილებულია შესაბამის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებზე, რომლებიც მოგვიანებით, პასუხისმგებელი არიან ამ ღონისძიებების დაგეგმვაზე. მისი განცხადებით, მუნიციპალიტეტში არსებობს პროექტი „იყავი თანამმართველი“, რომლის ფარგლებშიც 10 პროექტი დაფინანსდა. ასევე, მისი განცხადებით მუნიციპალიტეტი აფინანსებს შშმ პირთათვის ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია დღის ცენტრი.

მერიის წარმომადგენლის განცხადებით, ცდილობენ ისე დაგეგმონ აქტივობები, რომ მოარგონ ახალგაზრდების საჭიროებებს, თუმცა ეს ყოველთვის ასე არ ხდება. მისი განცხადებით, მუნიციპალიტეტს ახალგაზრდების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვების რაიმე სისტემური მეთოდი არ გააჩნია. ახალგაზრდების საჭიროებების კვლევა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში აქამდე არ ჩატარებულა, რადგან დიდ თანხებთან არის დაკავშირებული.

რესპონდენტის განცხადებით, აქტივობებში ძირითადად სკოლის ასაკის ახალგაზრდები არიან ჩართული. სკოლის ასაკის შემდგომ ახალგაზრდების ჩართულობის მაჩვენებელი კი ძალიან დაბალია, რაც გამოწვეულია, ძირითადად, მიგრაციით.

> *„ჩვენი ძალიან დიდი სამსახურია და თითქმის ყველა სფეროს მოიცავს - კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა. ყველა ღონისძიება მართლა ვცდილობთ, რომ მაქსიმალური ხარისხით გავაკეთოთ და მაქსიმალურად ორიენტირებული ვიყოთ ყველა სეგმენტზე. მაგრამ ზოგჯერ ხდება ისე, რომ ვერ ვიგებთ რა უნდათ ახალგაზრდებს, ეგეთი შემთხვევაც არის. საახალწლო ღონისძიებები გვქონდა*

ყოველთვის 31-ში, ჩამოგვყავდა სხვადასხვა მომღერალი. ბოლო წლებში ისე აღმოჩნდა, რომ მუნიციპალიტეტი იხდიდა ამ თანხას, რეალურად იმართებოდა ეს ღონისძიებები, მაგრამ ახალგაზრდები არ გამოდიოდნენ. ხშირად ყოფილა ისე, რომ მარტო თანამშრომლები ვიყავით და საკმაოდ კოლოსალური თანხები იხარჯებოდა. მერე, როცა არ ჩამოვიყვანეთ, მერე იყო პროტესტი, რომ რატომ არაფერი არ ხდება." (სახელმწიფო სექტორის წარმომადგენელი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)

რაც შეეხება არასამთავრობო სექტორის მიერ შეთავაზებულ აქტივობებს, ისინი ახალგაზრდებს ძირითადად კულტურულ-საგანმანთლებლო და სპორტულ აქტივობებს სთავაზობენ. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, მწირი ბიუჯეტის გამო, ბევრ პროგრამას ვერ სთავაზობენ ახალგაზრდებს.

ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ამბობს, ორგანიზაციის წარმატებული პროექტია „მონაწილეობრივი ბიუჯეტი", რომელიც ოზურგეთში დაინერგა და რომლის ფარგლებშიც მოსახლეობა ხმის მიცემით უჭერს ამა თუ იმ პროექტს. მისი განცხადებით, გურიაში მოსახლეობის ჩართულობის მაჩვენებელი 35%-ზე მაღალი იყო. ამავე ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადებით, ორგანიზაციის ერთ-ერთ პროექტს წარმოადგენს ინგლისური ენის უფასო შემსწავლელი კურსები სოციალურად გაჭირვებული ახალგაზრდებისთვის. ასევე აქვთ ინგლისური აკადემია - ინგლისური ენის ფასიანი შემსწავლელი კურსები ახალგაზრდებისთვის. გარდა ამისა, იგეგმება პროექტი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებისთვის გამოიყოფა გრანტები, რომ ის სფერო, რასაც უნივერსიტეტში ეუფლებიან, რეგიონში განავითარონ.

არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების განცხადებით, პროგრამების დაგეგმვისას ახალგაზრდების მოსაზრებებს ითვალისწინებენ, რომლებსაც მათ მიერ ან სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ კვლევების, ოფიციალური სტატისტიკის შედეგების საშუალებით ეცნობიან.

„ამ ახალ პროექტში სტუდენტები, რომლებიც არიან წასული რეგიონიდან და სწავლობენ ისეთ ფაკულტეტებზე, რომელიც შეიძლება განვითარდეს ჩვენს რეგიონში, ამათთვის იქნება საგრანტო კონკურსი და ამ ადამიანებს მიეცემა რაღაც თანხები. ერთის მხრივ, ეს კარგია თვითონ რეგიონის პოპულარიზაციისთვის და დარგის პოპულარიზაციისთვის." (არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)

რაც შეეხება იმას, თუ როგორ ხდება ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ახალგაზრდებისთვის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი ამბობს, რომ ინფორმაციას ღონისძიებების შესახებ მუნიციპალიტეტის ვებგვერდისა და სოციალური ქსელის საშუალებით, ავრცელებენ. გარდა ამისა, რესურსცენტრსა და სკოლებსაც ატყობინებენ სიახლეს და მოგვიანებით ისინი თავად უზრუნველყოფენ ინფორმაციის მოსწავლეებამდე მიტანას. გარდა ამისა, მისი განცხადებით, მას აქვს სოციალურ ქსელში ჯგუფი, სადაც სკოლის მოსწავლეები არიან გაწევრიანებული და ამ პლატფორმასაც იყენებს ინფორმაციის გასავრცელებლად.

ინფორმაციის ონლაინ მიწოდების მეთოდს არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებიც მიმართავენ და ინფორმაციას ძირითადად სოციალურ ქსელებში აქვეყნებენ. ერთ-ერთი რესპონდენტის განცხადებით, ქმნიან მოსწავლეების საერთო ბაზას და ონლაინ ჩათში აქვთ მათთან კომუნიკაცია. არის ისეთ შემთხვევები, როდესაც სკოლების დირექტორებს უკავშირდებიან და სთხოვენ, აქტიური მოსწავლეების საკონტაქტო ინფორმაციას, რომ შემდეგ ისინი ჩართონ თავიანთ აქტივობებში. ასევე, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის განცხადებით, თანამშრომლობენ ადგილობრივ პრესასთან. ასევე, თანამშრომლობენ სხვადასხვა სასწავლებელთან და სოფლის რწმუნებულებთან.

ახალგაზრდების ჩართულობა

თავად კვლევაში მონაწილე ახალგაზრდების ძირითადი ნაწილი ამბობს, რომ მუნიციპალიტეტის საქმიანობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ არიან ჩართული. აღსანიშნავია, რომ მონაწილეები ამბობენ, რომ სიამოვნებით ჩაერთვებოდნენ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვის, პროექტების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. 18-25 წლის ერთ-ერთი მონაწილე ამბობს, რომ სიამოვნებით ჩაერთვებოდა სტრატეგიის შემუშავების პროცესში. 14-17 წლის ერთ-ერთი მონაწილის განცხადებით, მისმა მეგობრებმა შეიტანეს განცხადება კინოთეატრის შესახებ, თუმცა არ დააკმაყოფილეს. აღსანიშნავია ისიც, რომ რამდენიმე მონაწილემ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი დახმარებიათ გარკვეული ღონისძიების განხორციელებაში სივრცის დათმობითა და ტექნიკის გამოყოფით. რესპოდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მონაწილეობას დიდი სიამოვნებით მიიღებდა, ნაწილი კი იდეის ჩამოყალიბებასა და უშუალოდ განხორციელების პროცესში ჩაერთვებოდა. ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ ბიუჯეტის ზუსტად ცოდნის შემთხვევაში, უფრო მარტივი იქნება პროექტის დაგეგმვა და განხორციელება.

> *"დახმარებას გვიწევენ, როცა გვჭირდება, მაგალითად, სივრცის გამოყოფა. მაგრამ არის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრობლემა. ყველა ვერ იღებს ინფორმაციას. იდეა გვქონდა კინოთეატრზე, მაგრამ არ განიხილეს." (ქალი, 15 წლის, ქალაქი ოზურგეთი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)*

> *„ბიუჯეტის განხილვაში პასიურობენ ახალგაზრდები. მეტ-ნაკლებად არიან ჩართულები, მაგრამ ჩემი გადასახედიდან უფრო მეტი უნდა იყოს ჩართული და არამარტო ბიუჯეტის, არამედ ბევრ საქმიანობაში უნდა იყვნენ ზომიერად ჩართულები." (კაცი, 25 წლის, ქალაქი ოზურგეთი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი)*

იმავე აზრს ავითარებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელიც და ამბობს, რომ ახალგაზრდები არ არიან ჩართულები მუნიციპალიტეტის საქმიანობაში. მისი განცხადებით, თავად მუნიციპალიტეტის საქმიანობაშიც შესაცვლელია მიდგომები და იმედოვნებს, რომ მალე შეიცვლება. მისი თქმით, გეგმავს ჩაატაროს შეხვედრები ახალგაზრდებთან და შექმნას ახალგაზრდების ერთიანი ბაზა.

მუნიციპალიტეტისა და არასამთავრობო სექტორის სამომავლო გეგმები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი აღნიშნავს, რომ მათ სურთ, ახალგაზრდების გააქტიურების მიმართულებით მუშაობა და ახალგაზრდობის სააგენტოს მხარდაჭერის იმედი აქვთ. ზოგადად კი აპირებენ, რომ მუნიციპალიტეტის სტრატეგიის მომზადებაში ახალგაზრდები და ამ საკითხებზე მომუშავე სხვა პირები, ორგანიზაციები ჩართონ. ასევე, მისი განცხადებით, მნიშვნელოვანია სახელმწიფო უწყებებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა კოორდინირებულად იმუშაონ ახალგაზრდულ საკითხებზე.

რაც შეეხება არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, მათი განცხადებით, პანდემიის გათვალისწინებით, სამომავლო გეგმები ნაწილობრივ შეცვალეს და მოარგეს არსებულ გარემოებებს. რესპონდენტები აცხადებენ, რომ სამომავლო პროექტებს ახალგაზრდების ჩართულობით და მათი მოთხოვნილებების გათვალისწინებით გეგმავენ.

დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების საჭიროებების შესასწავლად თვისებრივ კვლევაში მონაწილეობა თავად ახალგაზრდებმა, მუნიციპალიტეტის მერიისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმა მიიღეს. ახალგაზრდების წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ საუბრისას ყველა ტიპის რესპონდენტმა, როგორც ახალგაზრდებმა, ისე საჯარო და არასაჯარო სექტორის წარმომადგენლებმა დასაქმება, მიგრაციასთან დაკავშირებული პრობლემები, ტრანსპორტთან დაკავშირებული პრობლემები და განათლების ხელმისაწვდომობა დაასახელეს პრობლემად, თუმცა კვლევაში მონაწილეები სხვადასხვა სახის გამოწვევაზეც საუბრობენ.

თავად ახალგაზრდების თქმით, მუნიციპალიტეტში არ არის ან მცირე რაოდენობითაა სპორტული მოედნები, დარბაზები, კულტურული წრეები, კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისთვის საჭირო სივრცეები, ახალგაზრდების თავშეყრის ადგილები, მაგალითად, კინო, სკვერები. ფოკუს ჯგუფის მონაწილეების აზრით, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში კულტურული და საგანმანათლებლო აქტივობებისთვის სივრცეების შექმნა, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარებას. ასევე, პრობლემურად მიიჩნიეს ახალგაზრდების ინფორმირებულობის დონე სხვადასხვა აქტივობის შესახებ, ზოგადი ინტერესის და მოტივაციის არარსებობა, როგორც მუნიციპალიტეტის, ასევე ახალგაზრდების მხრიდან. რამდენიმე ახალგაზრდამ მუნიციპალიტეტში ტრანსპორტის პრობლემაზე გამახვილა ყურადღება.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ისაუბრეს, თუ როგორ შეიძლება მათ მიერ დასახელებული პრობლემების გადაჭრა. სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა, თუმცა ყველა თანხმდება, რომ თავად მუნიციპალიტეტის მხარდაჭერის გარეშე პრობლემები ვერ მოგვარდება. ისინი ფიქრობენ, რომ პრობლემების გადაჭრის მთავარი გზა არის მეტი აქტიურობა და კომუნიკაცია ახალგაზრდებსა და მუნიციპალიტეტს შორის.

ერთ-ერთი მონაწილე ამბობს, რომ მუნიციპალიტეტში შეუტანია განცხადება, რასაც არ ჰქონია რეაგირება, შესაბამისად ფიქრობს, რომ აუცილებელია ისეთი პლატფორმის შექმნა, სადაც ისინი გააჟღერებენ თავიანთ საჭიროებებს და პრობლემებს. ისინი ფიქრობენ, რომ აუცილებელია ახალგაზრდების იდეების მოსმენა, დაფინანსება და ისეთი პროექტების განხორციელება, რაც კონკრეტულად ახალგაზრდებზე იქნება მორგებული.

გარდა ახალგაზრდებისა, ახალგაზრდების წინაშე მდგარ გამოწვევებზე როგორც მუნიციპალიტეტის მერიის, ისე არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებმაც ისაუბრეს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლის თქმით, ახალგაზრდების ძირითადი პრობლემა ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობა, ახალგაზრდობის ჩართულობა სხვადასხვა აქტივობაში და მიგრაციასთან დაკავშირებული საკითხებია. რესპონდენტის აზრით, ახალგაზრდებს მუნიციპალიტეტის დონეზე ძირითადად ერთმანეთის მსგავსი პრობლემები აწუხებთ.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები ახალგაზრდების წინაშე გამოწვევად ასევე მიგრაციის საკითხს მიიჩნევენ. მათი თქმით, მიგრაცია პირდაპირ არის დაკავშირებული მუნიციპალიტეტში დასაქმების პრობლემასთან. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მუნიციპალიტეტში არ არსებობს გასართობი სივრცეები. ასევე, პრობლემას წარმოადგენს ტრანსპორტირების საკითხი. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები თანხმდებიან, რომ აღნიშნული პრობლემები არ განსხვავდება ასაკის, სქესის ან სხვა მახასიათებლის მიხედვით.

კვლევის მონაწილეებს სთხოვეს, შეეფასებინათ ის პროგრამები, რომელსაც მუნიციპალიტეტი და არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში. ახალგაზრდული პროგრამების შესახებ საუბრისას, კვლევაში მონაწილე 14 წლიდან 25 წლამდე ახალგაზრდები აღნიშნავენ ინტელექტუალურ, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს. რესპონდენტთა ნაწილის განცხადებით, ისინი თავადაც ჩართული იყვნენ აღნიშნულ აქტივობებში. რაც შეეხება 26-29 წლის რესპონდენტებს, მათ დიდ ნაწილს არ აქვს ინფორმაცია ახალგაზრდული პროექტების შესახებ. რესპონდენტების განცხადებით, მთავარ პრობლემას წარმოადგენს სხვადასხვა აქტივობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების დაბალი დონე. ერთ-ერთი მონაწილე აღნიშნავს, რომ მსგავსი ტიპის პროექტებზე წვდომა აქვთ მხოლოდ გარკვეული ჯგუფის ახალგაზრდებს, რაც დიდ პრობლემას წარმოადგენს.

მონაწილეების ნაწილმა სურვილი გამოთქვა, რომ მუნიციპალიტეტმა მათთვის საგანმანათლებლო და გასართობი პროგრამები განახორციელოს. რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ პროექტების დაგეგმვისას ახალგაზრდების ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, ჯგუფის ყველა მონაწილისთვის ცნობილია, რომ მათ მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციები. აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე არასრულწლოვანი მონაწილეების თითქმის უმრავლესობა ჩართული არის არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციის

